გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№24 (1050) 4 - 5 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## პანაცეა ონკოპაციენტებისთვის

რა მნიშვნელობა აქვს ადრონული ამაჩქარებლის შემოტანას საქართველოსთვის



**მარიამ ცაცანაშვილი:** „ეს იქნება ბაზა, რომელსაც კავკასიაში ანალოგი არ აქვს"

გვ. 8

## საპარლამენტო არჩევნები 80 მილიონი ლარი დაჯდება?




„2016 სპეციფიკური წელი იქნება, რადგან პოლიტიკური ტემპერატურა საგრძნობლად აწეულია. დაფინანსების ხარისხიც შეცვლილია და ამიტომ, სავარაუდოდ, თანხები 2016 წლის არჩევნებზე გაორმაგდება. რეალურია, დასახარჯი თანხა 40 მილიონ ლარამდე გაიზარდოს. გასული წლების მსგავსად, 2016 წლის არჩევნებში არადეკლარირებული ფულიც იქნება, ანუ დაახლოებით 80 მილიონი ლარი დაიხარჯება. ეს არის რეალობა და ამაზე თვალის დახუჭვას აზრი არ აქვს..."

გვ. 5

რას მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას ვადამდელი არჩევნები



## აკაკი ასათიანი ახალ მოძრაობას ქმნის

ვის გააერთიანებს და რისი იმედი აქვს „ტრადიციონალისტთა" კავშირის ლიდერს

გვ. 3

## რა კავშირი აქვს თამაზ თამაზაშვილს კუს ტბის სკანდალთან და მფარველობს თუ არა ბესო ხარძიანს

რას უმალავენ ბიძინა ივანიშვილს?!

გვ. 7




გვ. 9

## ოქროს კრუხ-წიწილას შეწირული ცალხელა ქურდის აღიარებითი ჩვენება



პატიმრის დღიური

## ექსკლუზიური ინტერვიუ უნგრეთის ელჩთან



გვ. 9

როგორ აფასებს ქართულ-უნგრულ ურთიერთობებს და რა ახალ ერთობლივ პროექტებზე საუბრობს შანდორ საბოსი

## 2015 წლის თებერვალში საქართველოში 290 929 ვიზიტი განხორციელდა




შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით. კერძოდ: 2015 წლის თებერვალი 290 929 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 1%-ით ნაკლებია.

რაც შეეხება იანვარ-თებერვლის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 600 396 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2%-ით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 212 668 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 35,4%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 7,8%);

ბ) ტრანზიტი — 115 653 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 19,3%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 14,6%);

გ) სხვა — 272 075 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45,3%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 3,5%).

2015 წლის თებერვალშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-10%), აზერბაიჯანიდან (+8,5%), სომხეთიდან (+8,8%), რუსეთიდან (-7,3%) და უკრაინიდან (-14%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-თებერვალში გამოირჩნენ ლიტვა, გერმანია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი და იტალია (შესაბამისად, 126%, 12%, 12%, 11%, და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან უზბეკეთი (67%) და ყაზახეთი (20%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსის და მოლდოვას მოქალაქეები 43% და 21%-იანი მატებით.

*„ვერსიანიუსი“*

## „შემოულაწუნე“ ხელისუფლებას!

დღეს თბილისში გაიმართება აქცია, სახელწოდებით „შემოულაწუნე“. აქციის ორგანიზატორების განმარტებით, მოქალაქეები ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციამდე ავტომობილებით მსვლელობას მოაწყობენ.




აქციის ორგანიზატორი პარტიებია: **„თავისუფალი საქართველო“, „რეფორმატორები“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.**

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა, მათი მთავარი მოთხოვნაა, ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება დაიწყოს: **„ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებასთან დიალოგს ვითხოვთ. სამწუხაროდ, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩვენ ორ რადიკალურ ჯგუფს შორის დესტრუქციულ დაპირისპირებას ვუყურებთ. მხედველობაში მაქვს „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ვფიქრობთ, ორივე მათგანი დღეს ქართული პოლიტიკისა და სახელმწიფოსთვის პრობლემაა. ამიტომ მოვუწოდებთ საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც არც ნაციონალების და არც „ქართული ოცნების“ მომხრეა — ვისაც სურს, ქართულ პოლიტიკას სამუდამოდ ჩამოვაშოროთ როგორც „ქართული ოცნება“, ისე ნაციონალური მოძრაობა, შემოგვიერთდეს“.**

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელმა გოჩა ჯოჯუამ განაცხადა, ბიძინა ივანიშვილს საზოგადოებამ ხმა იმიტომ მისცა, რომ ის პოლიტიკოსი კი არა, წარმატებული ბიზნესმენი იყო და ხალხმა ჩათვალა, მისი დაპირება რეალური გახლდათ: **„ივანიშვილს შევახსენებთ, რომ ის დაპირება, რომელიც მან მისცა ქართველ ხალხს, ჰაერში დარჩა. ქვეყანა კრიზისში იმის გამოც არის, რომ ეს დაპირებები არ შესრულდა. მან ქართველი ხალხი გადააგდო. ამიტომ მივდივართ მასთან, რომ მოვითხოვოთ პასუხი, შეასრულებს თუ არა დაპირებას“.**

„რეფორმატორების“ წარმომადგენელმა ირაკლი ღლონტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეიძლება პასუხი მოეთხოვოს, ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც ხელისუფლება დააკომპლექტა და დღესაც განკარგავს მას: **„შესაბამისად ვაპირებთ, მას მოვთხოვოთ პასუხი და ვთხოვოთ, თავისი მრავალმილიარდიანი ჯიბიდან ბიუჯეტში ინვესტირება მოახდინოს იქამდე მაინც, ვიდრე ეკონომიკური გუნდი გადადგება და ხელისუფლებაში სხვა გუნდი მოვა. ჩვენ მასთან დიდ ბანერზე ამობეჭდილი სახაზინო კოდი მიგვაქვს. იქნებ დაინახოს, რომ ქვეყანას სახაზინო კოდი აქვს და ჩარიცხოს თანხა. ჩვენ ფულს საჩუქრად არ ვთხოვთ, იქნებ საკუთარ ერს ასესხოს, იმ ერს, რომელმაც მხარი დაუჭირა“.**

აქციების ციკლი სახელწოდებით „შემოულაწუნე“, რომელშიც სამი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია მონაწილეობს, პერმანენტულად იმართება. ერთი ასეთი აქცია, ფინანსთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნით, 26 თებერვალს ფინანსთა სამინისტროსთან მოეწყო.

*„პირველი“*

## იუსტიციის სამინისტრო ხარჯების შემცირების გეგმას ორ კვირაში წარადგენს



იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ქამრების შემოჭერის პრინციპით, სამინისტრო ყველა იმ ხარჯს შეამცირებს, რაც ეკონომიკის ზრდაზე გავლენას არ ახდენს: **„ჩვენ იუსტიციის სამინისტროში უფრო სწრაფად დავხარჯავთ იმ თანხებს, რომელიც ეხება მშენებლობებს იმიტომ, რომ ეს ის თანხაა, რომელიც ვხედავთ, ილექება ეკონომიკაში და ეხმარება ეკონომიკის ზრდას. ყველა ის ხარჯი, რომელიც ეკონომიკის ზრდაზე არ მუშაობს, იქნება შემცირებული. გეგმას დავდებთ ორ კვირაში“.**

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პირობების გამო, მთავრობა ქამრების შემოჭერის პოლიტიკას მიმართავს. ღარიბაშვილის განმარტებით, ვინაიდან ლარის გაუფასურებამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია მოქალაქეების ჯიბესა და კომპანიების ფინანსურ შედეგებზე, მთავრობა მზად არის, ქამრები შემოიჭიროს.

*„პირველი“*

## თბილისის აეროპორტს მარტის ბოლოდან სამი ახალი რეისი შეემატება

თვის ბოლოდან რეისები ხურგადას, რომისა და ასტანას მიმართულებით შესრულდება.



სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვის დეპარტამენტის უფროსის ალექსანდრე გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ხურგადასა და რომის მიმართულებით რეგულარული რეისები აღდგება, რომელიც ზამთარში შეჩერებული იყო. ასტანას მიმართულებით კი ახალი რეისი დაინიშნება.

გაჩეჩილაძის თქმით, რეისების აღდგენა და დამატება 29 მარტიდან ახალი ტურისტული სეზონის დაწყებითაა განპირობებული.

მისივე განმარტებით, პირდაპირი მიმოსვლა ხორციელდება 17 ქვეყანასთან: საბერძნეთი, ყაზახეთი, ჰოლანდია, აზერბაიჯანი, გერმანია, კატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ეგვიპტე, რუსეთი, პოლონეთი, ავსტრია, ისრაელი, უკრაინა, ბელორუსი, ლიტვა, თურქეთი და ჩინეთი.

შარშან, თბილისის აეროპორტით, 2 მილიონ 800 ათასზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა.

*„პირველი“*



## საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ესტონელ კოლეგას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა

საქართველოსა და ესტონეთის პრემიერ-მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა ტაავი რიივასს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა. ესტონეთში საპარლამენტო არჩევნები პირველ მარტს გაიმართა, რომელშიც მმართველმა „რეფორმების პარტიამ“ გაიმარჯვა.

*„პირველი“*

## საქართველოს ბელორუსის დელეგაცია ეწვია

3-5 მარტს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ბელორუსის დელეგაცია შეხვედრებს მართავს მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან. ამასთან, დაგეგმილია შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის, დავით კერესელიძის თქმით, შეხვედრების დროს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განიხილავენ 22 აპრილს თბილისში დაგეგმილი საქართველო ბელორუსის ბიზნესფორუმის ჩატარებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს.

მისივე თქმით, 6 მარტს ბათუმში თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის მეოთხე ბიზნესფორუმი გაიმართება, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ორმხრივი შეხვედრები თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ეკონომიკის მინისტრებთან.

*„პირველი“*

## პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეების საკითხს პოლიტსაბჭო 7 მარტს გადაწყვეტს




პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი კახიანის განცხადებით, ფრაქციების ფორმატში პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეების ვაკანტურ პოსტებზე კანდიდატურები უკვე განიხილეს: **„ფრაქციების შემდეგ ეს უმრავლესობის ფორმატში განიხილება, რის შემდეგაც ამ საკითხზე კოალიციის პოლიტსაბჭო იმსჯელებს“.**

გიორგი კახიანის განცხადებით, კანდიდატურების საკითხს კოალიციის პოლიტსაბჭო 7 მარტს განიხილავს: **„საქართველოს პარლამენტში 2 კომიტეტის — დიასპორისა და საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტების თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია. დღემდე იურიდიულად ვაკანტური არ არის საგარეო ურთიერთობათა და გარემოს დაცვის კომიტეტების თავმჯდომარეების პოსტები, რადგან ვიქტორ დოლიძე მივლინებაში იმყოფება და სავარაუდოდ, განცხადებას ჩამოსვლის შემდეგ დაწერს. უმრავლესობა ცოცხალი და რთული ორგანიზმია, შედგება 7 ფრაქციისგან. ის, თუ ვინ დაიკავებს მათ ადგილებს ფრაქციებში, განხილულია. შემდგომ უკვე უმრავლესობის ფარგლებში განვიხილავთ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, კომიტეტების თავმჯდომარეების კანდიდატურებთან მიმართებაში, პოლიტსაბჭოს სხდომაზე ხდება. პოლიტსაბჭო ამ საკითხზე შაბათს იმსჯელებს. ფრაქციის ფარგლებში ვიქტორ დოლიძის შემცვლელად ზვიად კვაჭანტირაძის კანდიდატურა იყო განხილული. საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე თამაზ მეჭიაურის კანდიდატურა დასახელდა, თუმცა რომელი კანდიდატი დასახელდა სხვა ფრაქციებში, არ ვიცი. საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭო მიიღებს“.**

*„პირველი“*



# აკაკი ასათიანი ახალ მოძრაობას ქმნის

## ვის გააერთიანებს „ტრადიციონალისტთა“ ლიდერი ერთ თვეში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„ტრადიციონალისტი“ აკაკი ასათიანი კარგა ხანია აქტიური პოლიტიკიდან გაქრა. არც ინტერპარტიული ჯგუფის წევრია, რომელიც საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე მუშაობს, არც სხვა ოპოზიციურ პარტიებთან აქვს კონსულტაცია და არც ხელისუფლების ბანაკში გადასულა — ახალ მოძრაობას ქმნის, ოღონდ პოლიტიკოსების გარეშე. „ვერსიის“ კითხვებს ექსკლუზიურ ინტერვიუში აკაკი ასათიანი პასუხობს.**

**— დიდი ხანია, პოლიტიკაში არ გამოჩენილხართ — მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ, არეულობისკენ მივდივართ, ვადამდელი არჩევნებისა თუ უკეთესობისკენ?**

**— პროცესის შეფასება ასე მკაფიოდ ჯერ გამიჭირდება. ამ ვითარებას დიდი გაურკვევლობა შეგვიძლია დავარქვათ და სწორედ ეს გაურკვევლობა წარმოშობს პრობლემებს. იმედია, ხელისუფლების პოლიტიკაში ცოტა სიმკვეთრე გაჩნდება. ლარის დევალვაციაც ექსპორტისა და შიდაწარმოების ხელშემყწობი ფაქტორია და ამაზე აღარ კამათობენ, მაგრამ პრობლემები იმპორტს ექმნება. თუმცა ახლა არც ექსპორტი და არც შიდაწარმოებაა იმ ოდენობის, მტკივნეული პროცესის დადებითი მხარე წარმოაჩინოს. ერთია, თუ ხელისუფლებამ ლარი შეგნებულად გაუშვა ხელიდან, მეორე — თუ ეს შეუგნებლად ხდება და მთავრობა ლარს ვერ აკონტროლებს.**

ალბათ, ეს ერთ-ორ თვეში გამოჩნდება. ისიც ფაქტია, ხელისუფლება დიდი ხანია უნდა „იმ 9 წლის“ ძახილს შეშვებოდა. ამის კლასიკური მაგალითი მერიაა — თანამშრომელთა მიერ პრემია-დანამატების აღების არგუმენტად „ოცნებამ“ ნაცების აღებული იგივე ოდენობის პრემიები მოიშველია. ერთი სიტყვით, გასული 9 წლის გახსენება აღარ მუშაობს.

**— არც საგარეო პოლიტიკაზე აქცენტების დასმა? ირაკლი ალასანია ოპოზიციაში სწორედ ამ გზავნილით გადავიდა — ევროპულ არჩევანს საფრთხე ემუქრებაო. ამ საფრთხეს „ოცნების“ საგარეო პოლიტიკაში თქვენც ხედავთ?**

— სიმართლე გითხრათ, კურსის ცვლილებას ნამდვილად ვერ ვხედავ. არც ამ ხელისუფლების იანუკოვიჩთან შედარებაა სწორი, რასაც ნაციონალები აკეთებენ. იანუკოვიჩმა ჯერ იძახა — ევროპაო და უკანასკნელ მომენტში კურსს გადაუხვია — ჩვენ კი ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ. რაც შეეხება ზურაბ აბაშიძის ცნობილ განცხადებებს, რომ ხვალ-ზეგ ნატო-ში ვერ შევალთ, ეს ობამამ და მერკელმა თქვეს და მაშინ პრეტენზიაც ჯერ ობამასა და მერკელს წავუყენოთ.

**— საერთოდ, აბაშიძე-კარასინის ფორმატს რამე აზრი აქვს? დღეს აბაშიძეს ყველა ამას ედავება.**

— ეკონომიკურ ნაწილში რა ფუნქციაც ეკისრება, ვფიქრობ, ასრულებს.

**— პოლიტიკის გვერდისავლით ეკონომიკა არსებობს?**

— რა თქმა უნდა, არა, ამიტომ ბოლოს ეს ფორმატი ან შეწყდება, ან პოლიტიკური საკითხების განხილვაზეც გადავა.

**— საერთოდ, ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში ნაციონალების იქ დანიშვნის შემდეგ რამე შეიცვალა?**

— ჯერ ერთი, ვფიქრობ, უკრაინაში ეს ამბები ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით ხდება. თავის დროზე, როცა იქ პრემიერად იაცენიუკი დაინიშნა, ამის შესახებ საჯაროდ ვიქტორია ნულანდმა ისაუბრა პირველად, თორემ მანამდე იაცენიუკის დანიშვნაზე საუბარიც არ იყო, მას რეიტინგიც არ ჰქონდა. საერთოდ, უკრაინის ახლანდელი ხელისუფლება ერთი დიდი გაუგებრობა და ექსპერიმენტია. ამ თვალსაზრისით კი, ნაციონალები დასავლეთში წარმატებულ ექსპერიმენტულ მთავრობად ითვლება, რომელმაც რეფორმები გაატარა. ჩვენც უნდა ვაღიაროთ, რომ რაღაცები მართლა გააკეთეს. თუ არ ვიტყვით, რა გაკეთდა ნაციონალების დროს, მაშინ აღარც იმას დაგვიჯერებენ — რა დაშავდა, ამიტომაც სჭირდებათ ნაციონალები უკრაინაში.

**— პუტინმა უკრაინას შეახსენა, რომ გაზი 2-3 დღეში გაეთიშებათ, საფასურის წინასწარ არგადახდის შემთხვევაში. ამის გამო ვითარება უარესად თუ დაიძაბა, ეს მოვლენები გავლენას ჩვენზეც მოახდენს?**

**— ასე პირდაპირ მოვლენები არ შეგვეხება, მაგრამ რუსეთი უკრაინისგან რომ მოიცლის, ან რომც არ მოიცალოს, სულ წნეხში ვეყოლებით. ღია აგრესიას არ ველი, მაგრამ გამუდმებული პრესინგი ისედაც არის — ვთქვათ, აფხაზეთსა და ცხინვალთან ხელშეკრულების დადება. ამიტომ ვარ მომხრე, ვიღაცამ ეს ურთიერთობები დაარეგულიროს, რადგან, როგორც ჩანს, რუსეთი იმას სულაც არ გვიფასებს, რომ აღარ ვლანძღავთ, არ ვყვებით ევროპის სანქციებს და ა.შ. ახლა ვინმემ უნდა გაარკვიოს, ამას ტყუილად ვაკეთებთ, თუ რამე აზრი აქვს. ვფიქრობ, ხელისუფლება დიდ შეცდომას უშვებს, როცა ამას გაურბის.**

**— ალბათ შიშით, რომ საკუთარ ქვეყანაში პრორუსები არ დაუძახონ.**

— უკრაინას რუსეთთან ომი აქვს, ოღონდ თან დსთ-დან არ გასულა, საბაჟო კავშირის ასოცირებულ წევრად რჩება და პოროშენკოს შოკოლადი დღემდე იყიდება რუსეთში. ამ ფონზე ჩვენ რომ ვენები გადავიჭრათ, კომიკური იქნება. ნაციონალების შეცდომა აგრესიული პოლიტიკა იყო, „ოცნებისა“ ისაა, რომ ჰგონია, გაყურსული ვიქნები და ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ მოგვარდებაო. თუმცა არც ისაა სწორი, ყველაფერში ჩავეკვეხოთ და ჩავეჩაროთ. ვფიქრობ, რუსეთთან პირდაპირ კონტაქტზე უნდა გავიდეთ, თუკი მართლა აქვთ სალაპარაკო. თანაც რუსეთ-ცხინვალმა დოკუმენტში უკვე ინტეგრაცია გააფორმა, ეს კი აფხაზებმა არ გააკეთეს. ვფიქრობ, დრო მოგვცეს და ამასაც დანახვა უნდა.

**— შიდაპოლიტიკას დავუბრუნდეთ — ოპოზიციაში ალასანიას გადასვლა არ შეგიფასებიათ. ამით ქართულ ოპოზიციაში ახალი პროცესი დაიწყო?**

— ალასანიას ოპოზიციაში გადასვლა შეთანხმებულს არ ჰგავს. თავისუფალი დემოკრატები თავიანთ ადგილს ეძებენ. როგორც ჩანს, კოალიცია მომავალ არჩევნებში ძველი სახით აღარ იქნება წარმოდგენილი. რბილი ფორმით, მაგრამ რესპუბლიკელების მიმართაც ისმის პრეტენზიები, რომ მხარს ნაციონალებს უჭერენ და კოალიციის გუნდის მიმართ ყოველთვის სოლიდარულნი არ არიან.

**— ზოგადად, ვინ არის ოპოზიციაში და ვის რა შეუძლია?**

— დღეს ოპოზიციაა ნაციონალები და თავისუფალი დემოკრატები, ანუ ე.წ. მედასავლეთეები. ბურჯანაძის ალიანსი პრორუსულ ძალად ითვლება და ასევე, ძალებს იკრებს პატრიოტთა ალიანსიც, ამიტომ ვფიქრობ, სპექტრი თანდათან მრავალფეროვანი ხდება.

**— მაგრამ ამ სპექტრში ვის შეუძლია ხელისუფლების შეცვლა?**

— არა, ასეთი არ არის. ამ არჩევნებში უმრავლესობით ვერავინ გავა და ეს უკვე ფაქტია. ვფიქრობ, ვერც „ოცნება“ შევა პარლამენტში უმრავლესობით, თუნდაც ვადამდელი არჩევნები ჩაატაროს. თუ დარჩენილ 1,8 წელში ფიქრობს, რაღაცას გამოასწორებს, ურჩევნია, ეს საქმე ვადამდე მიიყვანოს, თუ არაფრის გაკეთებას აპირებს, მაშინ, როცა უნდა, მაშინ ჩაატაროს არჩევნები.

**— ვადამდელი არჩევნები დღეს მთავარი თემაა — როგორ ფიქრობთ, რომ ჩატარდეს, ვის რა შედეგს მოუტანს?**

— რეალურად, არჩევნებს ბურჯანაძე და პატრიოტთა ალიანსი ითხოვენ. ასეთი რამ თავისუფალი დემოკრატებისგან არ მომისმენია და დიდად არც ნაციონალები აქტიურობენ. ამიტომ იმ პარტიებს, ვინც ითხოვს, რაღაც მყარი პროცენტის იმედი აქვს. „ოცნებას“ კი აშკარა გაურკვევლობა ეტყობა — ხან ვადამდელი არჩევნების საჭიროებაზე საუბრობენ, ხან ამ აზრს გადათქვამენ. მე რომ მკითხოთ, არჩევნები ვადაზე ადრე არ უნდა ჩატარდეს — ეს 4 წელი „ოცნებამ“ ბოლომდე უნდა მიიყვანოს, რათა უკვე სრულფასოვანი დასკვნის გაკეთება შევძლოთ. 4 წელი იმის მისახვედრად საკმარისია, კიდევ უნდა ენდო თუ არა „ოცნებას“ და გაარკვიო, რას გთავაზობენ სხვები. მაგალითად, ნაციონალებს მკაფიო შეთავაზებები აქვთ ვთქვათ ეკონომიკაში, საგარეო პოლიტიკაში, სხვებისგან ასეთი ჯერ არაფერი მომისმენია. იმედია, ისეთი ტალღა აღარ იქნება, ოღონდ ნაცები არ იყვნენ და სხვა არაფერი გვაინტერესებსო.

**— არჩევნები რომ გაყალბდეს?**

— აი, გაყალბებას მართლა დიდი არეულობა მოყვება. არა მგონია, ამაზე წავიდნენ. უკვე გავლილ ეტაპად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ეს ქმედება პირდაპირ ქვეყნის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

**— აბა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, მაჟორიტარული წესი და ძველი კოდექსი რომ გინდა, უკვე გასაგებია, რომ საარჩევნო სისტემით მანიპულირებას ეცდები, არა?**

— სამწუხაროდ, ამას ყველა ხელისუფლება აკეთებს. თუმცა იმედი მაქვს, საღი აზრი ეყოფათ და მიხვდებიან, ამ მეთოდით ბრძოლა არ ღირს, მით უმეტეს, მოსაგებად საკმარისი რესურსი ჯერ ისედაც აქვთ.

**— და საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფის საქმიანობაში ჩართული ხართ?**

— არა, მაგრამ, თუ კარგ იდეას წამოაყენებენ, მხარს დავუჭერ.

**ახლა სხვა თემით ვარ დაკავებული — მიდის კონსულტაციები საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბების თაობაზე. ჯერჯერობით, პრეტენზია არ გვაქვს, გინდა თუ არა პარლამენტში უნდა შევიდეთო. თუმცა ჩვენ შევიმუშავებთ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რადგან ქვეყანაში სწორედ ამის ნაკლებობას ვხედავთ. ნაციონალებმა სიმართლეც რომ თქვან, ყველასთვის მიუღებელია. სხვები ხმას არ იღებენ და მკაფიო პოზიციები არ აქვთ, ხელისუფლება კი გაშტერებულია.**

**— თქვენ მრჩევლები უნდა იყოთ?**

— არა, მრჩეველი ისაა, ვინც მარტო მას ურჩევს, ვისაც სჭირდება. ჩვენ კი ამას საჯაროდ გავაკეთებთ, ჩვენს იდეებს საზოგადოებას გავაცნობთ და ამის შემდეგ ხალხმა გადაწყვიტოს, სწორია თუ რა ჩვენი ხედვა. კონსულტაციები პარტიებთან არ მიდის, უფრო — პიროვნებებთან და ეს მოძრაობა დასრულებულ სახეს მაქსიმუმ ერთ თვეში მიიღებს.

---

### შავი სათვალით



# ულიარებელი შეცდომა

ლევან სეფისკვერაძე

იმ თვალშეუდგამი სისულელის, თითქოს წამლებზე რეცეპტების სისტემის დაწესებით ნარკომანია შემცირდება, მგონი არავის სჯერა. არც იმის გვჯერა, რომ მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილი კმაყოფილი დარჩა ამ გადაწყვეტილებით, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებით შეიფუთა. აბა მაშ ვისთვის და რისთვის გაკეთდა ეს ყველაფერი? საქმეც ისაა, რომ ეგ არ ვიცით სწორედ.

რამდენიმე დღის წინ, აფთიაქში შესულმა ორი პენსიონერი ქალბატონისგან ისეთი „ლამაზ-ლამაზი“ სიტყვები მოვისმინე ხელისუფლების მიმართ, რომ უმალ გამახსენდა ძველი და არცთუ ნათელი დრო, როდესაც ყველა ხელისუფლებას წყევლიდა, ყველა ერთ ამბავში იყო, მაგრამ მთავრობას მომიტევეთ და სულ ცალ ფეხზე ეკიდა ხალხის განწყობა. ნუ, მერე რაც მოხდა, ეგეც კარგად ვიცით...

ჰოდა, იწყევლებოდა ეს ორი ასაკოვანი ქალბატონი და შესცქეროდნენ მათ წამლის რეცეპტების მაძიებელი სხვა მოქალაქეები და თქვენ წარმოიდგინეთ, უთანაგრძნობდნენ კიდეც. მომიტევოს იმ ბრძენმა კაცმა, ყველაფერი რომ ეკითხება და ამავე დროს არაფერი მოეკითხება, მაგრამ ამ ქვეყანაში საქმეები დღითიდღე უფრო რომ უარესდება, ამას უკვე ისინიც კი ხვდებიან, ლურჯი მაისურებით რომ დაჰქროდნენ ჩვენი ქვეყნის ულამაზეს მინდორ-ველებზე და ყველას მოუწოდებდნენ, მათთან ერთად ეოცნებათ. ეჰ, ბრძენო კაცო, ოცნება კარგი რამეა, მაგრამ ამ „დაუნახავ“ ხალხს რომ ჰკითხოთ, ოცნებას მაინც წნევის წამალი ჯობია, რომელიც რეცეპტების გარეშე სამწუხაროდ აღარ გაიცემა და ჩვენს წნევააწეულ თანამოქალაქეებს ნანატრი წამლების მოსაპოვებლად ექიმებისთვის ღრიჯინი სჭირდებათ.

ბრძენო კაცო და ბრძენის თანმხლებნო პირნო, თუ გგონიათ, ამ ყველაფერს მე ვიგონებ, ეგეც არაა პრობლემა. გააჩერეთ ქუჩაში (სწორედ ქუჩაში და არა ფეშენებლურ რესტორანში) ნებისმიერი მოქალაქე და თუ ათიდან ერთი მაინც იტყვის, რომ წამლებზე კონტროლის გამკაცრებით კმაყოფილია, მიწოდეთ მატყუარა, პროვოკატორი, ოპოზიციის მიერ მოსყიდული და ყველაფერი ის, რაც ყველგან ისედაც გელანდებათ. არადა, როგორ იძახდით — ჩვენაო, ხალხოსნები ვართო, ხალხის ხმა გვესმისო, ხალხი ბრძენიაო... თუ როგორ იყო ეგ? ღმერთმა დასწყევლოს ეს მოკლე მეხსიერება...

რაც შეეხება ნარკომანებს... ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად წამლების გაძვირება, რეცეპტების შემოღება და ნარკომანების ციხეში გამოკეტვა რომ არ ამართლებს, ამას დიდი ხანია მიხვდნენ ნორმალური ქვეყნების მთავრობები და ევროპასა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში სწორედ ამიტომაც დაიწყო სახელმწიფომ ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრების შექმნა-დაფინანსება. ნარკომანი სხვა ამბებშია სხვებზე უკან ჩამორჩენილი, თორემ როცა წამლის შოვნაზე მიდგება საქმე, ისეთ კრეატივს გამოიჩენს, თქვენი მოწონებული. კაცი რომ მილების საწმენდ სითხეს ვენაში გაუშვებს, იმას წამლებზე რეცეპტების შემოღებით გამოასწორებ? რეაბილიტაციის ცენტრების შექმნაზე სამწუხაროდ არავინ ფიქრობს. რეცეპტების შემოღებით კი რაც მივიღეთ, თქვენც კარგად ხედავთ.

დაბოლოს... შეცდომის აღიარება და გამოსწორება არც სირცხვილია და არც დიდი უბედურება. ჰოდა, ერთხელ მაინც ხომ არ გეცადათ თქვენც?..



## შს მინისტრი კონფერენციის — „ქალები პოლიციაში“ გახსნაზე სიტყვით გამოვიდა

კონფერენცია „რედისონში“ შსს-ს და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) თანამშრომლობის ფარგლებში გაიხსნა.

კონფერენცია ყოველი წლის მარტში იმართება საქართველოში და სამართალდამცველების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პოლიციაში ქალის როლის წარმოჩენას ემსახურება.

კონფერენციის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული ქალები და მათი კოლეგები მოლდოვიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, ფილიპინებიდან, ალბანეთიდან და პაკისტანიდან. კონფერენცია „ქალები პოლიციაში“ 6 მარტს დასრულდება.

*„პირველი“*



## პრეზიდენტმა 8 მსჯავრდებული ქალი შეიწყალა

დედის დღესთან დაკავშირებით, გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებით, 4 ქალბატონი სასჯელის მოხდისგან სრულად გათავისუფლდა, 4-ს კი ვადა გაუნახევრდა.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის განმარტებით, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება იმ რეკომენდაციების ნაწილია, რომელიც შეწყალების კომისიამ პრეზიდენტს მუშაობის შედეგად წარუდგინა: **„პრეზიდენტმა 8 ქალბატონი შეიწყალა, რომლებიც სასჯელს მე-5 დაწესებულებაში იხდიან. თუმცა დედის დღესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ სხვა მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებზეც კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა, შეწყალების აქტი დაიგვიანებს. მათი შეწყალება მიმდინარე კვირას მოხდება. ქალბატონები, რომლებიც პრეზიდენტმა შეიწყალა, სასჯელს ძირითადად ქურდობისთვის, საზღვარზე კონტრაბანდული გზით ნარკოტიკების შემოტანის მცდელობისთვის და სხვა სახის ნარკოდანაშაულისთვის იხდიდნენ. გარდა საქმეების შინაარსისა, კომისიამ იხელმძღვანელა იმ ნორმით, რომ სასჯელი, რომელიც მათ შემთხვევაში დადგენილია, ძალიან მაღალი იყო“.**

შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, სულ კომისიამ 572 მსჯავრდებულის განაცხადი განიხილა, თუმცა ქორიძე არ აკონკრეტებს, რამდენი მსჯავრდებულის შეწყალების რეკომენდაციით მიმართა კომისიამ პრეზიდენტს.

*„პირველი“*



# „ოცნებაში“ რესპუბლიკელებს ბურჯანაძე შეცვლის

## სერგო ჯავახიძის სკანდალური პროგნოზები

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

**პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე სერგო ჯავახიძე ერთ-ერთია, ვინც „ქართული ოცნებისგან“ სამართლიანობის აღდგენას ელოდა. თუმცა, დღეს სამართლიანობა სხვაგვარად ესმის. მიაჩნია, რომ ერთადერთი სამართლიანობა ის იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა ველარასოდეს მოვა ხელისუფლებაში. ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას მხარს არ უჭერს, მიუხედავად იმისა, რომ მიაჩნია — დილეტანტებით დაკომპლექტებულმა ხელისუფლებამ, ხალხის იმედები ვერ გაამართლა.**

**— ბატონო სერგო, წინა ხელისუფლება ქრთამის აღებაში გადანაშაულებდათ, საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ წილის გაყიდვაც მოგთხოვეს. თქვენთვის აღდგა სამართლიანობა?**

— ადრე მწვავედ მქონდა განცდა, რომ ყველა უნდა დაისაჯოს. დღეს აღარ ვფიქრობ ასე.

**— რატომ, რა შეიცვალა?**

— იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენის ფარდისქვეშ ბევრი ცუდი საქმე კეთდება. ორი-სამი წელი ვუსმენ, რომ უსუსურია ეს ხელისუფლება, რადგან არ იჭერს დამნაშავეებს. აღმოჩნდა, რომ ეს მეასეხარისხოვანია. მთავარია, ქვეყანა იყოს ეკონომიკურად ძლიერი, საგარეო პოლიტიკა იყოს გამართული. არიქა, „ნაცები“ მოდიანო — ორივე არჩევნები ამ განწყობით ჩაატარა „ქართულმა ოცნებამ“. ბევრი ადამიანია ნაციონალთა რიგებიდან, ვისაც არ უნდა განვლილი 9 წლის გახსენება. დღეს ისინი „ოცნებაში“ არიან. ჯოკია ბოდოკიას სამსახურის ხელმძღვანელია გეგი ნიჟარაძე, რომელიც იყო ფინანსურ პოლიციაში და ჩემ დაჭერაში აქტიურად მონაწილეობდა, დღეს თანამდებობაზეა. არადა, იგივე პრობლემა ალასანიას გუნდს როცა შეექმნა, ალასანია მოხსნეს. სანამ ეს სტანდარტები — ვინ მიასწრებს პირველ პირთან და დაალაგებს ურთიერთობას, არ შეიცვლება, სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. რომელი ბიზნესის საკითხი გადაწყდა სამართლიანად და წართმეული ქონება დაუბრუნდათ? ეს აბსურდია — სახელმწიფო 12 მილიარდს ვერ დაუბრუნებს კერძო ბიზნესს. სამართლიანობის აღდგენა ისაა, რომ ნაცმოძრაობა ველარასოდეს მოვა ხელისუფლებაში. ადრე ხალხი სახელმწიფოსგან იყო დაუცველი. ახლა სახელმწიფო არ გვერჩის, მაგრამ ხალხი ეკონომიკურადაა დაუცველი.

**— მიგაჩნიათ, რომ ჯოკია ბოდოკია მარტო არ იყო კორუფციულ სქემაში? რისთვის უფრთხილდებიან ნიჟარაძეს?**

— არ მჯერა, რომ გეგი ნიჟარაძე საქმის კურსში არ იყო. ამ კადრს რაღაცისთვის ინახავენ. მაშინ ალასანია რატომ მოვხსენითო?

**— „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საპარლამენტო კომიტეტები დატოვეს. რესპუბლიკელებიც თუ გავლენ კოალიციიდან, რა ბედი ელის „ოცნებას“?**

— აბაშიძე ნებით უნდა გადამდგარიყო. წმინდა ოპოზიციური საქმიანობა ამ თანამდებობიდან არ გამოვიდოდა. მათი და რესპუბლიკელების საკითხი უკვე წელიწადნახევარია ტრიალებს, თუმცა, რესპუბლიკელებმა უფრო სწორი პოზიცია აირჩიეს და არ იჩქარეს კოალიციის დატოვება, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კი, კადრების აღმასრულებელ ხელისუფლებაში განთავსება არჩიეს. რესპუბლიკელები რომც გამოვიდნენ კოალიციიდან (საამისო ფაქტორები არსებობს — საგარეო პოლიტიკა, „ოცნების“ განცხადებები ნინო ბურჯანაძის მიმართულებით), ამან, შესაძლოა, მათში გარკვეული პროტესტი გამოიწვიოს.

**— რესპუბლიკელებს „ოცნებაში“ ბურჯანაძე შეცვლის?**

— ამას „ოცნება“ არც მალავს. ნინო ბურჯანაძის 10% ახლა ძალიან დასჭირდებათ, ვადამდელი იქნება თუ 2016 წლის მორიგი არჩევნები. ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია. გარწმუნებთ, „ოცნება“ კვლევებს ატარებს და იცის რეიტინგები.

**— ამიტომაც ეძებს „ოცნება“ ახალ სახეებს? მაგალითად, საუბარია გიორგი მოსიძეზე.**

— ეს „ოცნების“ მხრიდან უსუსური ნაბიჯია. მოაზროვნეების მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად, რატომ აკეთებენ ასეთ აქცენტებს, გაუგებარია. იმდენი ეძახეს „ოცნებას“, უტვინო, უსუსური მთავრობა გყავთ, პარლამენტში კაცი არაა, ლაპარაკი შეეძლოსო, რომ ქვეყნის წიაღში მხოლოდ მოაზროვნეები დაინახეს. გამორიცხულია, მოაზროვნეების გუნდი შეუერთდეს „ოცნებას“. რატომ ჰგონიათ, რომ ბაჩანა შენგელია ისევე ფიქრობს, როგორც ბასა კილაძე ან გიორგი მოსიძე? ყველას თავის მსოფლმხედველობა აქვს. არაკომპეტენტურები ჰყავთ კოალიციაში და კომპეტენტურობის ძებნაში მოაზროვნეები აარჩიეს. გასაგებია 2012 წელს რა კონტინგენტზე დადო „ოცნებამ“ ფსონი. ვფიქრობ, დღეს ასეთი შერჩევა აღარ იქნება, მით უმეტეს, ოპოზიციურმა ძალებმა საარჩევნო სისტემის შეცვლა თუ მოახერხეს, მაჟორიტარების არყოფნის შემთხვევაში, ასეთი სახეების პოვნას დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება. პარლამენტში ყველა სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს, მაგრამ ისე გადაიტვირთა პარლამენტი ასეთი ადამიანებით, საქმის გამკეთებელი აღარავინ ჰყავთ.

**— ჰოდა, ამომრჩეველთან მერე სწორედ ამ ადამიანებს ექმნებათ ყველაზე მეტი პრობლემა?**

— სხვა რა ბერკეტი აქვს მოქალაქეს, განსაჯოს რა ნიშნით აირჩიოს დეპუტატი, გარდა იმისა, რომ ხმა არ მისცეს? მგონი, ამომრჩეველი ახლა დაფიქრდება, რომ სხვისი ხათრით ხმისმიცემა მიიყვანს ადამიანებს იმ მდგომარეობამდე, როგორშიც ახლა ვართ. ხალხში ისეთი ნიჰილიზმია, ბევრი ვერ გიპასუხებთ, ხვალ რომ არჩევნები იყოს, რომელ პოლიტიკურ პარტიას ანდობდა ქვეყანას. რეალისტები რომ ვიყოთ, მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას შეეძლო, დაეკომპლექტებინა მთავრობა. „ქართულმა ოცნებამ“ ეს ვერ შეძლო. მივედით იქამდე, რომ უნდა იყოს კოალიციური მთავრობა, რომელსაც შეეძლება, წვლილი შეიტანოს ქვეყნის მშენებლობაში. ამისთვის ერთადერთი საშუალებაა პროპორციული სია, რომლითაც ყველა პოლიტიკურ ძალას ექნება საშუალება, პარლამენტიდან თქვას სათქმელი. საარჩევნო სისტემა თუ არ შეიცვალა, არჩევნები რომც ჩატარდეს, კრიზისი დარჩება. დილეტანტების გამო, „ოცნება“ მიიჩნევა გუნდად, რომელმაც ყველაზე მეტად მოატყუა საზოგადოება — მათ იმდენი ტყუილი თქვეს, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უთქვამს. ადამიანებს გაუგებარს პირდებოდნენ, მერე კი სხვა რეალობის პირისპირ აღმოჩნდნენ. ეს ყველაფერი წინასწარ უნდა შეესწავლა, მაგალითად ეკონომიკურ ჯგუფს, მაგრამ გამოიკვეთა, რომ ყველა იყო არაკომპეტენტური.

**— ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში რა პოლიტიკური მოცემულობა გვექნება, სად მოიაზრებთ თქვენს პარტიას?**

— ბევრი შეხვედრა გვაქვს. არაფერია გამორიცხული... არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ მონაწილეობას, თანაც დამოუკიდებლად, თუ საარჩევნო სისტემა შეიცვლება, თუ არა და, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რა კონფიგურაციაში მივიღებ მონაწილეობას. მაჟორიტარების მანდატების ხარჯზე მმართველი პარტია ვინც ხდება, მარტივად ქმნის მერე უმრავლესობას.

**— საარჩევნო კანონის შეცვლას ბევრი პოლიტიკური პარტია მოითხოვს. ამ მხრივ ხომ არ აპირებთ ვინმესთან გაერთიანებას?**

— ყველა დაჯგუფებაში, ინტერპარტიული იქნება თუ ინტერფრაქციული, გამოჩნდება ყოველთვის ერთი ან ორი პარტია, რომლებიც რადიკალურად შეატრიალებენ ვითარებას და გაერთიანება ერთობას დაკარგავს. აზრი არ აქვს ისეთ კოალიციაში შესვლას, სადაც რომელიღაც პარტია სარგებელს ნახულობს და ერთობაც მხოლოდ რაოდენობის გამოა. დღეს მნიშვნელოვანია საარჩევნო სისტემის შეცვლა.

**— არჩევნების დროს, ქართულ პოლიტიკაში რუსული ფული ისევ იტრიალებს?**

— რუსული ფულის არარსებობა გამორიცხულია. საბოლოოდ, ფულის ჭიდილი, პრორუსულ და პროდასავლურ განწყობებს შორის იქნება. ეს ცუდია ქვეყნისთვის, მით უმეტეს, ლარის ჰიპერინფლაციის ვითარებაში. უკვე 550 მილიონია ნაშთი, ერიდებიან ხარჯვას, რიგგარეშე არჩევნები თუ გადაწყდა, ეს ნიშნავს 200-300 მილიონის ხარჯვას. ბაზარზე გამოვა როგორც ლარი, ისე შემოტანილი ვალუტა. ამან შესაძლოა გაცილებით ცუდად იმოქმედოს ლარის კურსზე, ვიდრე აქამდე განიხილავდნენ ექსპერტები. სანამ ეკონომიკური სტაბილურობა არ იქნება და ლარი არ დაიკავებს ბუნებრივ ადგილს მსოფლიო გაუფასურების სისტემაში, რადიკალური ნაბიჯების გადადგმა ცუდ როლს შეასრულებს. თუ ამას მაინც გააკეთებენ, ე.ი. ულირთ.

### ვერსიანიუსი

## ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა

შეხვედრაზე ეკონომიკური პროცესები და მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს. ამასთან, მხარეებმა რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე და იმ ძირითად ფაქტორებზე იმსჯელეს, რომლებმაც ზეგავლენა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაზე მოახდინა. აღნიშნეს, რომ მისიის ფარგლებში, მთავრობასა და ეროვნულ ბანკთან ერთად, მოხდება საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, მაკროეკონომიკური პარამეტრების შეფასება და რისკების ანალიზი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანალიტიკური მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და ფინანსთა მინისტრის მოადგილეები დაესწრნენ.

*„პირველი“*



# საპარლამენტო არჩევნები 80 მილიონი ლარი დაჯდება?

## რას მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას ვადამდელი არჩევნები



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ბოლო დროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი იმდენად გააქტიურდა, რომ ცალკეული ჯგუფები სავარაუდო თარიღსაც კი ასახელებენ — 2015 წლის შემოდგომას. მეტიც, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ შესაძლოა, ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. რა მოცულობის თანხა იხარჯება არჩევნებში? არჩევნების დროს, ჭარბი ფულის მიმოქცევაში გაშვება როგორ აისახება ისედაც შოკირებულ ეკონომიკაზე? ელის თუ არა ქვეყანას ეკონომიკური კოლაფსი? რა მოუვა დევალვირებულ ლარს თუ ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება?**

### ფული და არჩევნები

იმისთვის, რომ პოლიტიკურმა სისტემამ გამართულად იმუშაოს, საჭიროა ფული. ზოგადად, პარტიების შემოსავლები სხვადასხვა ტიპის შემოწირულობისგან, საწარმოებისა და სახელმწიფო დაფინანსებისგან შედგება. ეს შემოსავლები პოლიტიკური საქმიანობისათვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გამოიყენება. ფულს პოლიტიკაში სხვადასხვა ტიპის ხარჯების დასაფარად იყენებენ, მაგრამ იმისთვის, რომ პარტიებმა არჩევნებიდან არჩევნებამდე იარსებონ, გარკვეულ დაფინანსებასაც იღებენ.

პოლიტიკური დაფინანსების მთავარი პრობლემა ე.წ. შავი ფულია, რომელიც შესაძლოა, კრიმინალური ორგანიზაციის შემოწირულობაც კი იყოს. პოლიტიკური ტექნოლოგიების სპეციალისტების მოსაზრებით, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ამ ტიპის გადმორიცხვებით თავს იზღვევენ, სავარაუდოდ, ისინი სრული ხელშეუხებლობის გარანტიასაც იღებენ, რომ მომავალში სამართალდამცავები არ შეეხებიან. „შავი ფულის" კატეგორიაში გადის ის შემოწირულობებიც, რასაც პოლიტიკოსებს იმიტომ ურიცხავენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კონკრეტული შემომწირველების ინტერესები გაატარონ.

მართალია, სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები და სამართალდამცავები, მკაცრად აკონტროლებენ „შავი ფულის" მოძრაობას, განსაკუთრებით არჩევნების დროს, არცერთ ქვეყანაში ამ ტიპის პრობლემა ბოლომდე გადაჭრილი არ არის. საქართველოში, სადაც რუსეთის ეკონომიკის გავლენა საგრძნობლად დიდია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოფიციალური თუ არაოფიციალური არხებით, ჩრდილოელი მეზობელი შეეცდება, საკუთარი პოლიტიკური ინტერესი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების დაფინანსებით გაატაროს.

### რა რაოდენობის თანხა იხარჯება არჩევნებში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური მონაცემები ავიღეთ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შემავალმა ექვსმა პარტიამ, ჯამში, 4 607 000 ლარის შემოსავალი მიიღო, ნაციონალურმა მოძრაობამ 13 434 000, ქრისტიან-დემოკრატებმა 961 000, ხოლო ლეიბორისტებმა 337 000 ლარი.

რაც შეეხება ხარჯებს, ოფიციალური მონაცემებით, ქართულ ოცნებაში შემავალმა ექვსმა პარტიამ ჯამში 6 200 000 ლარის ხარჯი გასწია, ნაციონალებმა — 3 500 000 დახარჯეს, ქრისტიან-დემოკრატებმა — 750 000, ხოლო ლეიბორისტებმა — 250 000.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, პარტიების შემოსავლები და ხარჯები ასეთი იყო: „ქართულმა ოცნებამ" ჯამში 9 000 000 000 ლარის შემოსავალი მიიღო, აქედან 8 302 826 — 680 შემომწირველის მიერ ჩარიცხული თანხაა; ნაციონალურმა მოძრაობამ 5 000 000 ლარის შემოსავალი მიიღო, საიდანაც 701 142 — 306-მა შემომწირველმა ჩარიცხა; დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს შემოსავალი ჯამში 3 500 000 ლარი იყო, აქედან 2 671 704 — 426 დონორის მიერ ჩარიცხული თანხაა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ქართულმა ოცნებამ 6 500 000 ლარი დახარჯა, ნაციონალურმა მოძრაობამ 5 000 000, ხოლო დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს ხარჯი 3 მილიონი ლარი იყო.

### რა დაგვიჯდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არის დრო, როდესაც მიმოქცევაში ფულის დიდი მასა ტრიალებს. პარტიებისა თუ საპრეზიდენტო კანდიდატების ოფიციალურ ხარჯებს არაოფიციალურიც ემატება. იმ ფონზე, როდესაც მთავრობის ეკონომიკური გუნდი გაუფასურებული ლარის დასტაბილურებას ცდილობს, ლოგიკური კითხვები ჩნდება — რამდენად გამართლებულია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ეკონომიკური თვალსაზრისით, ან ელის თუ არა საქართველოს ეკონომიკას კოლაფსი?

ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური მონაცემები, რაც 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს ეხება, „ვერსიამ" ეკონომიკის ექსპერტ **ლევან კალანდაძესთან** ერთად განიხილა. ოფიციალურ ხარჯებზე დაყრდნობით, რასაც არადეკლარირებული თანხებიც დავუმატეთ, საშუალო არითმეტიკული გამოვიყვანეთ და ის ციფრი განვსაზღვრეთ, რაც სავარაუდოდ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაგვიჯდება: **„ეს ოფიციალური ხარჯები რომ დავაჯამოთ, გამოდის, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 12 მილიონი ლარი, ხოლო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში 15 მილიონი ლარი დახარჯულა. თუმცა მოგვწონს თუ არა, არჩევნებში, როგორც წესი, არადეკლარირებული ფულიც იხარჯება. ნუ დავარქმევთ ამას „შავ ფულს", მაგრამ ეს არის ფული, რომელიც არ აღირიცხება, ანუ სხვა წყაროებიდან მიღებული პოლიტიკური ფულია, რომლის გამოჩენის ინტერესი არ არის. როგორც წესი, არადეკლარირებული თანხა დაახლოებით იმდენია, რამდენიც არჩევნებზე ოფიციალურად იხარჯება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2012 წელს, დაახლოებით, 25 მილიონი ლარი, ხოლო 2013 წელს — დაახლოებით, 30 000 000 დახარჯულა. თავისთავად, ეს ცუდი არ არის, რადგან მიმოქცევაში ფული ტრიალებს და საზოგადოებასაც შემოსავალი ეძლევა, მაგრამ ზოგადად, არჩევნები ძვირი სიამოვნებაა. პოლიტიკური კალენდრის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნები 2016 წელს უნდა ჩატარდეს. ამ გადმოსახედიდან, 2016 წელი საკმაოდ სპეციფიკური წელი იქნება, რადგან პოლიტიკური ტემპერატურა საგრძნობლად აწეულია. დაფინანსების ხარისხიც შეცვლილია და ამიტომ რისი მიღწევაც 2012-2013 წლებში, პირობითად, 25 000 000 ან 30 000 000 ლარით შეიძლებოდა, სავარაუდოდ, ეს თანხები 2016 წლის არჩევნებზე გაორმაგდება. ორმა მთავარმა მოთამაშემ — ქართულმა ოცნებამ და ნაციონალურმა მოძრაობამ, საკუთარი მიზნების მისაღწევად, გაცილებით მეტი თანხა უნდა დახარჯონ, ვიდრე 2012-2013 წლებში დახარჯეს. ამიტომ სრულიად რეალურია, რომ დასახარჯი თანხა 40 000 000 ლარამდე გაიზარდოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზუსტად ამდენი დაიხარჯება. გასული წლების მსგავსად, 2016 წლის არჩევნებში არადეკლარირებული ფულიც იქნება, ანუ დაახლოებით 80 000 000 ლარი დაიხარჯება. ეს არის რეალობა და ამაზე თვალის დახუჭვას აზრი არ აქვს".**

საპარლამენტო არჩევნებზე დასახარჯი თანხის საშუალო არითმეტიკულიც გამოვიყვანეთ და ისიც განვსაზღვრეთ, პირობითად, რა რაოდენობის თანხა უნდა დაიხარჯოს მომდევნო არჩევნებზე. ლარის კურსის დევალვაციის გამო, საქართველოს ეკონომიკა ისედაც შოკშია, 2014 წლის ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს ეროვნული ვალუტა დაახლოებით, 30%-ით გაუფასურდა, რაც ნიშნავს, რომ იმპორტი 30%-ით უნდა შემცირდეს. მართალია, იმპორტის შემცირება ლარის კურსს გაამყარებს, მაგრამ მეორე მხრივ, ეკონომიკურ მდგომარეობას გააუარესებს. მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ ლარი მაისში დასტაბილურდება, მაგრამ ვადამდელ არჩევნებამდე ორი სეზონური ინფლაცია გველის — გაზაფხულზე და აგვისტო-სექტემბერში. ამ ფონზე, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შემოდგომაზე ჩატარდება, საინტერესოა, რა ეკონომიკური პროცესები განვითარდება?

**ლევან კალანდაძე: „რა თქმა უნდა, ამ ფონზე, არჩევნებში დასახარჯი ფული, გარკვეულწილად, რისკფაქტორს შეიცავს, მაგრამ მეორე მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ — წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც საარჩევნო თანხების მობილიზება ხდება, პოლიტიკური პარტიების კუთვნილი თანხითა და მათი დონორების დაფინანსებით, ლარზე მოთხოვნა გაჩნდება. ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდა კი მნიშვნელოვნად გაამყარებს თავად ლარს და კომფორტულ გარემოსაც შექმნის. თუმცა არჩევნების შემდეგ, ამ ფულის მიმოქცევაში გაშვება, ბუნებრივია, ინფლაციურ პროცესს გამოიწვევს. პირობითად, ჩვენ ხომ 80 მილიონ ლარზე ვსაუბრობთ, ეს ნამდვილად არ არის ის მოცულობა, რამაც შესაძლოა, ეკონომიკა დაანგრიოს. 80 მილიონი ლარის მოძრაობა, მნიშვნელოვან ცვლილებებს კი იწვევს, მაგრამ თუ ამ თანხის „შეწოვა" და შემდეგ „გაწოვა", დაახლოებით, 8-10-თვიან პერიოდზე გაიწერება, მაშინ რისკი შემცირდება. პრობლემა ამ დამატებითი 80 000 000 ლარის ერთბაშად, ერთ-ორ თვეში გაშვება იქნება, თორემ თუ 8-თვიან პერიოდზე გავწერთ, ნაკლები პრობლემები შეგვექმნება. თავისთავად, არჩევნებში ხარჯები მნიშვნელოვანია, მაგრამ მე სკეპტიკურად ვუყურებ მხოლოდ ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების კომპონენტს და არა იმას, რომ პოლიტიკური პარტიები თავისი დონორებიდან დახარჯავენ ფულს. ზოგადად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები რისკია, რადგან 2015 წლის ბიუჯეტში, ამ წელს ჩასატარებელი არჩევნების ფული გათვალისწინებული არ არის. თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ შემოდგომაზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩაატაროს, ამისთვის ბიუჯეტის კორექტირება და მნიშვნელოვანი თანხის ჩადება დასჭირდება. ეს ნიშნავს, რომ რაღაცას უნდა მოაკლოს თანხა, ან დამატებითი სესხი უნდა აიღოს და ბუნებრივია, 2015 წლის ისედაც პრობლემური ბიუჯეტისთვის, ეს დამატებითი ტვირთი იქნება. თუმცა ეკონომიკას არც ეს ტვირთი დაანგრევს. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო გაართულებს 2015 წლის დაძაბულ საბიუჯეტო პროცესს, მაგრამ ზოგადად, არჩევნები ეკონომიკას არ ანგრევს".**

*დასასრული მე-7 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### ადმინისტრაციულ ჯარიმაზე გამოცხადებული ამნისტია ამოქმედდა



ამნისტიის მიხედვით, დაკისრებული ჯარიმებისა და საურავებისაგან სრულად თავისუფლდებიან ის პირები, რომლებმაც უბილეთოდ იმგზავრეს მუნიციპალური ტრანსპორტით და ეს სამართალდარღვევა 1 იანვრამდე ჩაიდინეს.

ჯამში, სახელმწიფო სამართალდამრღვევებს მილიონ ორასი ათასამდე ლარის გადახდის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.

გამოცხადებული ამნისტიის შედეგად ჯარიმებისაგან 20850 პირი თავისუფლდება — ამჟამად, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს" წარმოებაშია მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობასთან დაკავშირებით 21000-ზე მეტი საქმე.

მნიშვნელოვანია, რომ იმ პირთა უმრავლესობა, რომელთაც მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისათვის ჯარიმა დაეკისრათ, სოციალურად დაუცველი, პენსიონერი ან სტუდენტია. სახდელისგან გათავისუფლება, ერთი მხრივ, მოქალაქეებს მცირედ ფინანსურ შეღავათს მისცემს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოსაც გაათავისუფლებს ასეთი საქმეების აღსრულებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ოდენობის ადმინისტრაციული რესურსის ფუჭად ხარჯვისგან.

ავტობუსის ჯარიმებისგან შეჭირვებული მოსახლეობის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა 2014 წლის ზაფხულში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული მიმდინარე საქმეების ინვენტარიზაციის შედეგების გაცნობის შემდეგ მიიღო. ინვენტარიზაციის ანგარიშში გამოჩნდა, რომ 21000 აღსასრულებელი საქმე საზოგადოების ყველაზე შეჭირვებულ ფენას ეხებოდა და სწორედ ავტობუსის ჯარიმებს უკავშირდებოდა. მინისტრი გამოვიდა ინიციატივით, რომ ამ ჯარიმების აღსრულებაზე ამნისტია გამოცხადებულიყო. აღნიშნული ინიციატივა გაიზიარა პრემიერმა და მთავრობამ, მათ შორის, ფინანსურმა ბლოკმაც და შარშან მთავრობის ინიციატივად დარეგისტრირდა.

*„პირველი"*

პატიმარი №0578

# ოქროს კრუხ-წიწილას შეწირული ცალხელა ქურდის აღიარებითი ჩვენება

## რატომ ვერ გამდიდრდნენ ყაჩაღები მოპარული ოქროს სერვიზით და როგორ იცავდნენ მობილურებს მდიდრები მძარცველებისგან



როცა საქართველოში ვითარება აირია და მთელი ქვეყანა ძარცვა-გლეჯაზე იყო გადასული, არაერთი ცნობილი ოჯახი დააყაჩაღეს. მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. შემდეგ ვითარება თითქოს დამშვიდდა, მაგრამ მობილური ტელეფონების გამოჩენის შემდეგ, ყაჩაღობამ ისევ იმატა. ბევრ კრიმინალს სურდა, სასურველი ნივთი ხელში ჩაეგდო და ამისთვის დიდ რისკზეც მიდიოდა. თუმცა მდიდარ ადამიანებში იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც საინტერესოდ გადაწყვიტეს თავდაცვა. მამუკა ხ. ერთ-ერთი მათგანი იყო. ცნობილი ბიზნესმენი რამდენჯერმე შეაწუხეს კრიმინალებმა, მაგრამ ყველა შემთხვევაში უარით ისტუმრებდა — ამბობდა, არავისთვის არაფერი მომიპარავს და წამირთმევია და ამიტომ, არც ვინმესთვის ვაპირებ რაიმეს ჩუქებასო. მაინც გაქურდეს, თუმცა თავად ამ ქურდობით ბედნიერი იყო და ირონიულად იღიმოდა, მეორედ აღარ გამქურდავენო...

რუსთავის №17 ზონაზე ერთი პატიმარი, თედო ქ. ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ მას მარჯვენა ხელი მაჯაში ჰქონდა მოწყვეტილი და ყველას უკვირდა, ამ მოწყვეტილი ხელით როგორ ქურდობდაო. თუმცა ძველები ამბობდნენ, თავის დროზე ძალიან მაგარი იყო და ეს ხელიც საქმეს გააყოლაო. თედო ძველ საქმეებზე თითქმის არ საუბრობდა, თუმცა არცთუ იშვიათად, მოწყვეტილ მაჯას ჩააშტერდებოდა, ასე უყურებდა რამდენიმე წუთით, მერე ირონიულად გაიცინებდა და თავს გადააქნევდა.

„მე ამის ატანა აღარ შემიძლია. უნდა მივიდე იმ თედოსთან და ძველი ამბები მოვაყოლო", — უთხრა ერთ დღეს მაყურებლებს პატიმარმა №0578-მა.

„მიდი, უარი ეგებ არ გითხრას. თან, ადრე თუ გვიან, ხომ უნდა მოყვეს ყველაფერს. ისე, როცა მოყვება, უთხარი, ოქროს კრუხ-წიწილას ამბავი და მაგ მოგლეჯილი ხელის საქმე არ გამორჩეს", — ურჩიეს მაყურებლებმა.

ორ თვეზე მეტი სდია №0578-მა თედოს. ორ თვეზე მეტ ხანს არწმუნებდა, ეგებ რამე მომიყვეო და ორი თვის შემდეგ, როგორც იქნა, დაითანხმა. პირველივე ისტორია ისეთი უბრალო და აბსურდული იყო, №0578-ს კინაღამ სისხლი ჩაექცა ტვინში.

„შენზე ამბობენ, ქურდების პიკასო იყოო და ახლა რასაც მიყვები, ნაბერეჟნზე რომ მხატვრები არიან, იმათ დონესაც ვერ ქაჩავ. ოქროს კრუხ-წიწილაზე მომიყევი, ხელი რატომ არ გაქვს, ის მითხარი", — უთხრა თედოს.

„და ეგ ამბები შენ ვინ გითხრა?!" — მოიღუშა პატიმარი.

„ვინ და მაყურებლებმა. ეგენი ხომ იცი, ვიკიპედიასავით არიან, მთავარია, საჭირო სიტყვა უთხრა და მაშინვე დეტალურად გაშიფრავენ", — გაეღიმა №0578-ს.

„ვიკიპედია რა არის?!" — დაინტერესდა თედო.

„ჰოო... დამავიწყდა, რომ დიდი ხანია ზიხარ. ვიკიპედია ინტერნეტენციკლოპედიაა, თითქმის სრულყოფილია, მაგრამ საბოლოო სრულყოფამდე მაინც ბევრი უკლია", — აუხსნა №0578-მა.

„ხელის ამბავი ყველას აინტერესებს. მამუკა ხ. ხომ იცი? მე წავიღე მაგის ბინა და ნეტავ არ წამეღო. სახლში შესვლა უდიდესი პრობლემა იყო, მაგრამ ხანგრძლივი თვალთვალის შემდეგ მივხვდი, ფანჯრიდან შეძრომა შეიძლებოდა. მოახლე დილით გისოსებს აღებდა და შუადღემდე ისე იყო, მერე კეტავდა და სწორედ დაკეტილზე ირთვებოდა სიგნალიზაცია. ერთ დღესაც, როცა გააღო, კარზე დაუკაკუნეს. რა თქმა უნდა, მოახლემ კარი არ გააღო და ეს იმის მიუხედავად, რომ უმტკიცებდნენ, გაზის ქვითარი მოგიტანეთო. სამაგიეროდ, მე ამ დროს აივანზე ავძვერი და გისოსებს სპეციალური სითხე წავუსვი. დაკეტვის შემდეგ გისოსებში სიგნალიზაცია არ ჩაირთვებოდა...

ორ კვირაში სახლი მარტო დარჩა. გისოსი გავჭერით და შევედით. ყველაფერი წავიღეთ, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა და მათ შორის მობილური ტელეფონიც. სულ ახალი იყო, ყუთში იდო, ცელოფანში, გაუხსნელი. მაშინ თბილისში მობილურები ერთეულებს ჰქონდათ. სახლში რომ მივედით, იმდენი ფული და ოქრო დავახვავეთ, ერთი წელი მეფეებივით ვიცხოვრებდით. მე ყველაზე მეტად მობილური მაინტერესებდა. გავხსენი, ელემენტი გავუკეთე და ჩავრთე. მერე აღარაფერი მახსოვს, აზრზე ჩვენი ნაცნობი ქირურგის ბინაში მოვედი. მარჯვენა მაჯა აღარ მქონდა. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ რაღას ვიზამდი?! მერე გავარკვიეთ, რომ მამუკას ტელეფონი სპეციალურად ჰქონდა გამოსაჩენ ადგილზე, ვინმე თუ რამეს დააპირებდა, ისიც რომ წაეღო. იქ კი დინამიტის კაფსული ჰქონია დამონტაჟებული და ასე ავფეთქდი. საავადმყოფოები დაირბინეს პოლიციელებმა, ხელმოგლეჯილ კაცს ეძებდნენ, მაგრამ მე ჩემს ნაცნობ ქირურგთან ვიყავი... ასე იყო ეს ამბავი და ახლა შენ თუ ამას კლასიკას და პიკასოს ეძახი, დაუძახე. ბიჭებმა თქვეს, შური ვიძიოთო, მაგრამ მე არ დავანებე, კაცი თავის საკუთრებას იცავს, გაჯობა და უნდა დააფასო მოწინააღმდეგე", — დაასრულა თედომ.

„და კრუხ-წიწილა?!" — ინტერესით ჰკითხა №0578-მა.

„ეგ საერთოდ ყველაზე დიდი სისულელე იყო, რაც კი ოდესმე გაგვიკეთებია. დასავლეთ საქართველოში წავედით საქმეზე. გვითხრეს, სახლში არავინ იქნებაო და რომ შევედით, ოჯახის სამ წევრს ეძინა. ერთმა გაიღვიძა, ატეხა მთელი ამბები და იძულებულნი გავხდით, ქურდობიდან ყაჩაღობაზე გადავსულიყავით. დავაბით ყველა და იმ ნივთს დავუწყეთ ძებნა, რის გამოც ამხელა გზა გავიარეთ. ეს ოქროს კრუხ-წიწილა იყო. გესმის შენ? ოქროს კრუხი თავის ექვსი წიწილით და სწორედ მათ ვეძებდით. ვერ ვიპოვეთ და გადავწყვიტეთ, ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრის წამებით დაგვეშინებინა. მოულოდნელად ოჯახის უფროსმა თავად გვითხრა, თქვენ ვერც იმ ქოროს კრუხ-წიწილას იპოვით და ვერც იმ ფულს, დამალული რომ მაქვსო. შევთანხმდეთ, რომ მე ფულსაც გეტყვით სად არის და იმ ოქროსაც, ოღონდ ერთი წიწილა დამიტოვეთ. ფულის აზრზე არ ხართ და იმაზე ათჯერ მეტს წაიღებთ, ვიდრე ერთი წიწილა ღირსო...

ჩვენც, იდიოტებმა თავი დავუქნიეთ და მართალია, უზარმაზარი თანხა არ მოუცია, მაგრამ სამალავი გვანახა, ავიღეთ ფული, კრუხი თავის ხუთი წიწილით და იმათ ერთი ცალი დავუტოვეთ. თან არ იყო დიდი წიწილები, თან კიდევ საკმარისზე მეტი მოგვქონდა და ისიც ვიფიქრეთ, ეგებ არც იჩივლონო, ჰქონდა იმ ოჯახს შემოსავალი. კრუხ-წიწილას რუსი კლიენტი გვყავდა და როცა ვაჩვენეთ, კინაღამ გადაირია, ექვსი წიწილა რატომ არ არისო?! ჩვენ ყველაფერი მოვუყევით და სათითაოდ დაგვცინა, ქველმოქმედები ხართ თუ ქურდები, ეს რა ქენით, სერვიზი სრულად თუ არ არის, მაშინ მისი ფასი კაპიკიაო და შედარებისთვის გვითხრა, მადონას სერვისს ერთი ფინჯანი რომ აკლდეს, რა ფასი ექნებაო?!

მივხვდით, რომ მაგრად გაგვაცურეს, მაგრამ რა უნდა გვეთქვა? ყველა ოქრომჭედელი გაფრთხილებული იყო, რომ თუ ვინმე ოქროს წიწილას დამზადების თხოვნით მივიდოდა, სამართალდამცავებისთვის უნდა ეცნობებინა. იმ კაცის სახლს უკვე პოლიცია იცავდა და შეგვრჩა ხელში ოქროს ჯართი და არა ის, რაშიც ძალიან დიდ ფულს გვიხდიდნენ. გადადნობას აზრი თითქმის არ ჰქონდა, ფასი ათჯერ მაინც იკლებდა და ვიფიქრეთ, ერთი წელი მოვიცადოთ და იმ კაცს მერე დავადგეთო. ჰოდა, ეს ერთი წელი სანამ ვიცდიდით, ჩვენმა ერთმა მეგობარმა კრუხი დაალომბარდა. რამდენიმე თვე კი იყო გასული, მაგრამ ლომბარდში რომ ოქროს კრუხს მიიტან, კითხვები გაჩნდება. ასე ჩავარდა ის და შეგვრჩა მხოლოდ წიწილები. საბედნიეროდ არ გაგვთქვა, მაგრამ რად გინდა, რვა წელი მიარჭვეს. ის წიწილები გადავადნეთ და ერთი მანქანის ფულიც არ გამოვიდა. მერე მეც დამიჭირეს და კი ვარ ახლა ასე", — გაეცინა თედოს.

„შენ როგორ დაგიჭირეს?!" — არ მოეშვა №0578.

„ძონძივით. ბინა გავალე ატმეჩკით, შევედი და როცა იქაურობა დავასუფთავე, შიგნიდან ჩაკეტილი კარი ვერაფრით გავხსენი. რა უნდა მექნა, თოკი კი ვიპოვე, მაგრამ მეშვიდე სართულიდან ერთი ხელით სად წავსულიყავი? მერე ვიფიქრე, ეგებ ზემოთ ავძვრე-მეთქი. ჩამოვეკონწიალე ერთი ხელით ამ თოკს და დავიწყე ყვირილი, მიშველეთ-თქო. ვეღარც ფანჯარაში შევდიოდი და ვეღარც ზემოთ. „მიშველეს" მერე, ჩამომხსნეს თოკიდან და ჯიბეებიდან მოპარული ნივთებიც ამოიღეს. ასე მოვხვდი აქ და ამ საქმის გარდა რამდენიმე ისე სახალისოდ შემტენეს, შენი მოწონებული. აქედან რომ გავალ, არც კი ვიცი, რა ვქნა. შეიცვალა ყველაფერი, საკეტებიც, ურთიერთობებიც. აგერ, ვიკიპედიაო და ინტერნეტზეა გადასული მთელი სამყარო. მე კიდევ კომპიუტერთანაც ვერ ვიმუშავებ, სად ვაჩხაკუნო ცალი ხელით", — თავი ჩაღუნა თედომ.

* * *

თედო ციხიდან 2013 წელს გამოვიდა და ორ თვეში ჯიბგირობის ბრალდებით ისევ დააკავეს.

ვერსიანიუსი

## შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა მარნეულში აბიტურიენტებს შსს-ს აკადემიის საბაკალავრო პროგრამა გააცნეს



შსს-ს აკადემიის უბნის ინსპექტორთა ფაკულტეტის უფროსი მამუკა ქოიავა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი ქვემო ქართლში ზაურ დარგალი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის ჯგუფის კოორდინატორი მაია გაბუნია, მარნეულში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აბიტურიენტებს შეხვდნენ და შსს-ს აკადემიის საბაკალავრო პროგრამა და 1+4 პროგრამა გააცნეს. შეხვედრას ადგილობრივი სკოლების 100-მდე მე-12 კლასელი მოსწავლე დაესწრო. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენელმა აბიტურიენტებს წარუდგენა პრეზენტაცია თემაზე „შსს აკადემიის საბაკალავრო პროგრამა", რის შემდეგ აბიტურიენტების კითხვებს ამომწურავად უპასუხა. შსს აკადემიაში 2015 წლის სექტემბრიდან განხორციელდება სამართლის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლის სფეროში დაგროვილი ცოდნის მიცემას და იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას სტუდენტებისათვის. საბაკალავრო პროგრამაში შემოთავაზებულია საპოლიციო სფეროსათვის აუცილებელი სასწავლო კურსები, რომელთა გავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შსს აკადემიაში. 4 წლიან სასწავლო პროცესს წარუძღვებიან გამოცდილი და გამოჩენილი სპეციალისტები სამართლის სფეროში, რომლებიც უახლესი მეთოდების და პროგრამის მიზნებზე მორგებული თანამედროვე ინფრასტრუქტურის გამოყენებით სტუდენტებს შეასწავლიან სამართლის სხვადასხვა დარგებს.

*„ვერსიანიუსი"*

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ბესიკ ც. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 10 შეკვრად დაფასოებული 2,2117 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,42889 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ბესიკ ც-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების და ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოდ სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი"*

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1982 წელს დაბადებული თამაზ ო. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ხაშურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 21 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 2,44286 გრ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით თამაზ ო-ს ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი"*

## პოლიტიკური თამაშები

ეკა სეხნიაშვილი
599-53-56-06

# რა კავშირი აქვს თამაზ თამაზაშვილს კუს ტბის სკანდალთან და მფარველობს თუ არა ბესო ხარძიანს




**პროკურატურა მალე სააკაშვილის დროს ართმეულ-ახეული თუ ნებით გაყიდულ-გადაცემული ქონების „პორტირების“ საქმეების ხელახალ გამოძიებას დაიწყებს. ვისი გვარები ამოტივტივდება ამ საქმეებში, ჯერ მხოლოდ პროკურატურის კულუარებშია ცნობილი, თუმცა ბიზნესწილების ხელახალი გადანაწილება ახალი, გარდაუვალი სკანდალებისა და საკადრო ცვლილებების საბაბიც კი გახდება.**

ბიზნესის, ჩამორთმეული ქონებისა და ბიზნესგარიგებების საქმეთა გადასინჯვის მიზნით, პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა. რატომ გახდა საჭირო სპეციალური დეპარტამენტის შექმნა?! როგორც კომპეტენტური წყაროები აცხადებენ, ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესის დროულად დამთავრებისა და ობიექტურად წარმართვის სიგნალი, თავად ბიძინა ივანიშვილისგან მოდიოდა. რას უმალავდნენ ივანიშვილს, უცნობია. აღნიშნული საკითხის პროკურატურაში გადატანის სანქცია კი მან ცნობილი მოვლენების შემდგომ გასცა — რაც მის შუშის სასახლემდე მიაღწია ხმამ, რომ ე.წ. კახური კლანი ბიზნესის ხელახალი გადანაწილების საქმეში ფიგურირებდა. რა მოხდა შუშის სასახლის კულუარებში, რომელსაც ერთდროულად პოსტებიდან თამაზაშვილის მაღალ თანამდებობაზე მყოფი ახლობლების წასვლა მოჰყვა, ამაზე ბევრი დაიწერა და არ ჩავუღრმავდებით, თუმცაღა საკითხი დღის წესრიგში ისევ მოექცა, როცა თემურ უგულავასა და „აჭარაბეთის“ შესახებ ინფორმაციამ გაჟონა. ფინანსური სკანდალი მალე ისევ სამთავრობო სკანდალში გადაიზარდა, როცა პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ზვიად ჯანყარაშვილმა და ლექსო თამაზაშვილმა ბიზნესმენ თემურ უგულავასგან 75 მილიონის გამოძალვა სცადეს. ეს ინფორმაცია მაშინ აღნიშნულმა პირებმა კატეგორიულად უარყვეს, თუმცა ბუნებრივია, ივანიშვილს მისი ხელდასხმული მთავრობის კიდევ ერთხელ არასასურველ კონტექსტში მოხსენიება და ჩირქის მოცხობა არ ესიამოვნებოდა და პრემიერს მხოლოდ ნათესავების დაშოშმინება კი არა, სასწრაფო წესით, პროკურატურის თაროებზე დალუქული ბიზნესმენების საქმეების დროული მოგვარება დაავალა. არადა, ამდენი განაცხადის შესწავლა პროკურატურისთვის არცთუ მსუბუქი ტვირთია, მაგრამ პირველ მოქალაქესთან ყოველდღიურად უფროდაუფრო მეტი ბიზნესმენის ხმა მივიდა სანდო გარემოცვის საშუალებით. კულუარებიდან ცნობილი ხდება — ბიზნესმენების უმეტესობა ივანიშვილთან იმაზე წუწუნებდა, რომ სააკაშვილის დროს „ახეული“ ბიზნესის დაბრუნებას ვერ ახერხებდა და ამ ფაქტს დღევანდელ ხელისუფლებაში პროტეჟეების ნაკლებობით ხსნიდა. მაგალითად, იგივე მამია სანადირაძე აცხადებდა, რომ მის ოპონენტებს კალაძე პატრონაჟობდა. პრივატულ საუბრებში იმასაც ამბობენ, ივანიშვილთან ვერბალური საჩივრები იმის თაობაზეც შევიდა, რომ სამართლიანობის აღდგენას და საკუთარი ბიზნესაქტივების დაბრუნებას მხოლოდ ის მცირედი ნაწილი „ახერხებს“, ვისაც ლობი „ზემოთ“ ჰყავსო. აღნიშნულ ინფორმაციას და ჩარევებს კი ივანიშვილს უმალავდნენ და არწმუნებდნენ, სამართლიანობის აღდგენის კუთხით საქმე ობიექტურად მიდისო. სტატისტიკურადაც თუ გადავხედავთ, თითქმის ასეული განცხადებიდან მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა ბიზნესის დაბრუნების საქმეში პოზიტივისთვის მიეღწია, მათგან ერთადერთ გამონაკლისად, ბესო ხარძიანი და კუს ტბის სკანდალი სახელდება.

სხვათაშორის, ხარძიანის „მიღწევების“ შესახებ თავად პრემიერ ღარიბაშვილის სიმამრმა, ჯერ კიდევ სასამართლო პროცესების დამთავრებამდე ამცნო საზოგადოებას ერთ-ერთი საგაზეთო ინტერვიუდან: **„რა თქმა უნდა, აღსადგენია სამართლიანობა! აი, მაგალითად, ბესო ხარძიანს კუს ტბა დაუბრუნეს და მის მიმართ სამართლიანობა აღდგა, მსგავს ფაქტებს შეკრება და გახმაურება უნდა, ვიღაც ტელევიზიით უნდა გამოვიდეს და ამის შესახებ ილაპარაკოს, მაგრამ ვინ არის გამომსვლელი?“**

**პრემიერის სიმამრის გავლენის შესახებ, როგორც ადვოკატები ამბობენ, არც ხარძიანს დაუმალავს. მეტიც, ბიზნესმენი ხარძიანი პრივატულ საუბრებში და სასამართლო პროცესებზეც კი თამაზაშვილის ფაქტორს ხაზს უსვამს, ჩვენ ციხეში ერთად ვისხედით და ჩემი ძმა და მეგობარიაო!** იმის შესახებ, რომ „ზემოდან“ უხილავი ხელი პროცესების ობიექტურად წარმართვაში უშლის ხელს, ადვოკატები ღიად „ვერსიასთან“ საუბრობენ.

**შპს „კუს ტბის“ ადვოკატი მაია მაჩიტიძე:** „ბესო ხარძიანისა და თამაზაშვილის ახლობლობის შესახებ ინფორმაცია ჩვენს ყურამდეც მოვიდა. **გამორიცხული არც ისაა, არც ბატონმა პრემიერმა იცოდეს, რომ ხარძიანი მისი სიმამრის სახელით სპეკულირებს და მიანიშნებს, რომ ყველაფერი მასთან აქვს „გაიასნებული“.** იმაზე, რომ ხარძიანს აშკარა მფარველები ჰყავს დღევანდელ ხელისუფლებაში, რამდენიმე კონკრეტული ფაქტიც მიუთითებს. მაგალითად, ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომელი და მით უმეტეს, დეპარტამენტის მაღალჩინოსანი კარდაკარ დაყვება გამომძიებელს და მის ფუნქციებს ითავსებს. თუნდაც ის შემთხვევა, როდესაც „კუს ტბის“ ოფისში საგამოძიებო მოქმედების შესასრულებლად მოსულ გამომძიებელ ალექსანდრე ფუტკარაძეს თან ახლდა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო ექსპერტიზის ფინანსური სამმართველოს უფროსი შოთა ივანაშვილი. მეტიც, საქმესთან დაკავშირებით, **დასაკითხად დაბარებულ მოწმეებს გამომძიებელთან ერთად მთავარ პროკურატურაში ჰკითხავს თავად ხარძიანი, რომელიც დაზარალებულადაც არაა ცნობილი ამ საქმეში. შესაბამისად, მას უფლება არ აქვს, საგამოძიებო მოქმედებებს ესწრებოდეს. თვითონ კი პროკურატურაში შტატიანი თანამშრომელივით ზის, ყავას წრუპავს და განკარგულებებს აძლევს თანამშრომლებს გამომძიებელ გიორგი გამეზარდაშვილთან ერთად.** მეტსაც გეტყვით, რაც პირად საუბრებშიც ვუთხარი გამომძიებელ ფუტკარაძეს და რაც, ხარძიანმა სიტყვასიტყვით გააჟღერა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო პროცესზე — მან იმ მტკიცებულებების შესახებ ისაუბრა, რაც ჩვენს მხარეს ჰქონდა სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ და არწმუნებდა მოსამართლეს, როგორ სწრაფად და მალე დადგებოდა სისხლის სამართლის საქმეზე მისთვის სასურველი შედეგი.

**რაც შეეხება ბატონი თამაზ თამაზაშვილის ფაქტორს, ხარძიანმა სასამართლო პროცესებზე არაერთგზის გააჟღერა, რომ ის და თამაზაშვილი ე.წ. სპეცპატიმრები იყვნენ, ციხეზე ძალიან დამეგობრდნენ და ახლა, ამ ხელისუფლების პირობებში, მათი სიმართლის დრო დადგა. ეს ინფორმაცია გამოთხოვილი მაქვს სასამართლოდან და ამის დამადასტურებელი აუდიო-ოქმებიც არსებობს.** ხარძიანმა ასევე ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში პროცესის შემდეგ განაცხადა, რომ მოსამართლე თეა ხამხაძე დადგა კანონზე მაღლა. ეს განაცხადი მაშინ მთელმა საქართველომ მოისმინა. ამიტომაც მთელი ამ და სხვა კონკრეტული ფაქტების შემხედვარეს მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბესარიონ ხარძიანს, რომელსაც რეალურად არ გააჩნია არანაირი კანონიერი სამართლებრივი მტკიცებულება, რომ კუს ტბის საქმეში მას მართლა ვინმე რამეს ართმევდა და თან, ძალის გამოყენებით, სერიოზული პროტეჟე ჰყავს დღევანდელი სახელისუფლებო მაღალი ეშელონებიდან. და სწორედ ამის წყალობით გამოიტანეს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელიც ჩვენ გავასაჩივრეთ სააპელაციო სასამართლოში. ჩვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულებით, დღევანდელი პროკურატურის მაღალჩინოსნები და მოსამართლეები, აშკარად იმყოფებიან ხარძიანის გავლენის ქვეშ. ამის შესახებ მოწმობს სასამართლოს პირველი ინსტანციის მოსამართლის, თეა ხამხაძის უკანონო გადაწყვეტილებაც. ეს იმ ფონზე, როცა მოსამართლეს ჩვენ კუს ტბის წილების გაყიდვის მოლაპარაკებების ამსახველი უტყუარი ვიდეოჩანაწერები წარვუდგინეთ. **ამიტომაც მე ვთხოვ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, დაინტერესდეს ამ საკითხით და გაარკვიოს თამაზაშვილის ხვედრითი წილი ამ საქმეში, რადგან მისი ფაქტორი აშკარად იკვეთება, რაც საბოლოოდ, ხელს უშლის სამართლიანობის აღდგენას“.**

## ექსკლუზიური ვერსია

# საპარლამენტო არჩევნები 80 მილიონი ლარი დაჯდება?

*მე-5 გვერდიდან*

პარტიების არადეკლარირებულ თანხებს შორის, უხეშად რომ ვთქვათ, სხვა ქვეყნიდან შემოტანილი პოლიტიკური ფულიც იგულისხმება. ცხადია, პრორუსული ორიენტაციის პარტიები ამ ტიპის დაფინანსებას, ანუ „შავ ფულს“ რუსეთიდან მიიღებენ. პოლიტიკური „შავი ფულის“ მოძრაობა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც სერიოზულ პრობლემას ქმნის და საქართველო ამ მხრივ, გამონაკლისი არ არის. მეტიც, რუსეთიდან შემოტანილი „შავი ფულისგან“ ჩვენი ქვეყანა ყველაზე ნაკლებადაა დაცული. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებაა, სადაც, რუსეთ-უკრაინის ომის გარდა, საქართველოს ძირითად პარტნიორ ქვეყნებში, თურქეთში — ლირის, რუსეთში — რუბლისა და უკრაინაში — გრივნას გაუფასურებაც ემატება, როგორ აისახება სხვა ქვეყნიდან მიღებული ოფიციალური თუ არაოფიციალური „შავი“ დაფინანსება ეკონომიკაზე? ლევან კალანდაძე: **„პოლიტიკის მიღმა ვდგავარ და ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში შემოვიდეს ნებისმიერი ფული. თუ ეს „შავი ფულია“, ან კრიმინალია, ამაზე სამართალდამცავებმა იზრუნონ და შესაბამისი ზომებიც მიიღონ! ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, მთავარია, ქვეყანაში ფულის მასა შემოვიდეს, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, კერძო დანაზოგი, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი და პოლიტიკური ფულიც კი. ვისურვებდი, ეს ფული დასავლეთიდან შემოვიდეს და არა რუსეთიდან, რადგან რუსეთისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის შემოსვლას თავისი წესები და კანონები აქვს“.**

თუ ვთანხმდებით, რომ ეკონომიკა შოკშია და ლარი გაუფასურდა, ცალსახად, ეს მთავრობის ეკონომიკური გუნდის სისუსტეს ნიშნავს. ცალკეულ სამთავრობო უწყებებზე აქცენტის გადატანა ან საქართველოს ეროვნული ბანკის განტევების ვაცად გამოცხადება, ამ ვითარებაში გამოსავალი არ არის! თუ ამ პროცესზე მთავრობის ეკონომიკური გუნდია პასუხისმგებელი, ამ ვითარებაში არც მხოლოდ ეროვნული ბანკია „დამნაშავე“, არც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები და არც მხოლოდ პრემიერ-მინისტრი! ყველა ეს უწყება ენერგეტიკის სამინისტროს ჩათვლით, მთავრობის ეკონომიკურ გუნდს წარმოადგენს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს! აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი ლოგიკური კითხვა ჩნდება — არის თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციაში, რადგან ახლადარჩეული პარლამენტი მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებს. ლევან კალანდაძე: **„ზოგადად, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან მთავრობის ცვლილების საკითხი მიბმული არ არის, რადგან ფაქტია, თუ პარლამენტი შეიცვლება, ახალი მთავრობაც უნდა დამტკიცდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ფონია, თუ ხელისუფლება, როგორც ეკონომიკური გუნდი, ასევე ეროვნული ბანკი ერთად, კოორდინირებულად, უახლოეს პერიოდში, ლარის ვარდნას ვერ შეაჩერებს და ქვეყანაში არსებულ მძიმე ფონს ვერ დაასტაბილურებს, ბუნებრივია, მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს! მნიშვნელობა არ აქვს, ვისი ბრალია, მთავარია, რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამ პრობლემის გადაჭრას. თუ ხელისუფლება ეკონომიკურ ვითარებას ვერ მოუვლის, მაშინ მათი შეცვლის საკითხი დღის წესრიგში უნდა დადგეს“.**



### თურქმენეთის პრეზიდენტი თურქეთში საქართველოს გავლით სატრანზიტო დერეფნის საკითხს განიხილავს

გურბანგული ბერდიმუჰამედოვი ანკარას მასშტაბური რეგიონალური პროექტების განსახილველად ოფიციალური ვიზიტით 3-4 მარტს ეწვია.

CA-news-ის ინფორმაციით, ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების პროცესში ძირითადად ტრანსანატოლიური გზასადენისა და ავღანეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სატრანსპორტო დერეფანი განიხილება. სწორედ აღნიშნული მასშტაბური რეგიონული პროექტები განიხილებოდა 2014 წლის ნოემბერში აშხაბადში, თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ოფიციალური ვიზიტისას.

წელსვე თურქმენეთის პრეზიდენტს გურბანგული ბერდიმუჰამედოვს საქართველოში ვიზიტიც აქვს დაგეგმილი.

*„პირველი“*

ჯანდაცვა

# პანაცეა ონკოპაციენტებისთვის — რა მნიშვნელობა აქვს ადრონული ამაჩქარებლის შემოტანას საქართველოსთვის

## „ეს იქნება ბაზა, რომელსაც კავკასიაში ანალოგი არ ჰყავს“



თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**საქართველოში ახალი პროექტი იწყება, რომელიც ქვეყანაში ადრონული თერაპიის დანერგვას, საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრისა და ექსპერიმეტული ბაზის შექმნას ემსახურება. პროექტის უნიკალობაზე არავინ დავობს, რადგან საკითხი თუნდაც მხოლოდ სოციალურ დონეზე რომ განვიხილოთ — იმ ფონზე, როცა ქვეყანაში ყოველწლიურად სიმსივნის 7 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება, ონკოპაციენტებს კი საშუალება არ აქვთ, მსგავსი მკურნალობის მისაღებად უცხოეთში გაემგზავრონ, ეს ნამდვილი შვება იქნება. პროექტის პრე-კონცეფცია პროფესორ გია დვალის, დოქტორ თემურ ლომთაძისა და პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის მიერ შემუშავდა. შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი უდგას სათავეში, ხოლო თანათავმჯდომარეა გია დვალი. როდის დაიწყო პროექტზე მუშაობა, რა დატვირთვა ექნება მას საქართველოსთვის, „ვერსია“ კომისიის წევრს, მარიამ ცაცანაშვილს ესაუბრება, რომელიც ქვეყნის პრესტიჟს უკანა პლანზე აყენებს და აღნიშნავს, რომ ადრონული ამაჩქარებლის ამუშავებას, პირველ რიგში, სხვა, ბევრად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს:**

— ბიძინა ივანიშვილის წინადადებით, ხანგრძლივი ფიქრისა და განჯის შემდეგ, საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებისა და ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით, შეირჩა პროექტი, რომელსაც აქვს სამეცნიერო, კვლევითი, საგანმანათლებლო და, რაც მთავარია, სოციალური მნიშვნელობის პრაქტიკული გამოყენება. შინაარსიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელება საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ბუნებრივია, სახელმწიფო ამ ეტაპზე მის დაფინანსებას ვერ შეძლებს. ამიტომ ამ წინადადების ავტორმა, ბიძინა ივანიშვილმა ითავა პროექტის სრული ფინანსური მხარდაჭერა.

**— პროექტი მართლაც უნიკალურია და მისი განხორციელებით საქართველო მსოფლიო მეცნიერებაში კიდევ ერთ, მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის, არა?**

— საქართველოს პრესტიჟისთვის არ სცალია... არც უამისობაა, მაგრამ ეს ფაქტორი დროებით გვერდზე გავწიოთ... ადრონული ამაჩქარებლის შემოტანა საქართველოში ნიშნავს: ფიზიკაში მიღწეულ შედეგს ნერგავ მედიცინაში მაშინ, როცა ათასობით ადამიანია სიმსივნით დაავადებული და განკურნების შანსი 96%-ით იზრდება, დასხივების შედეგად არ ზიანდება ჯანმრთელი უჯრედები და ეს აპრობირებულია მსოფლიოში... საქართველოს მოქალაქეებს კი საზღვარგარეთ მკურნალობის საშუალება არ აქვთ. ადრონული ამაჩქარებელი ხალხისთვის შვება იქნება და ესაა უმთავრესი საკითხი; გარდა ამისა, ქვეყანაში პირველად ჩნდება ასეთი დიდი ექსპერიმენტული ბაზა, რომელსაც კავკასიაში ბადალი არ ჰყავს და შედეგად, საქართველო ხდება კავკასიის ცენტრი. აქ მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევითი პროექტები განხორციელდება, რაც თავისთავად მსოფლიო მეცნიერების ჩართვას გულისხმობს და ვფიქრობ, უფრო დაცულები ვიქნებით გარკვეული პოლიტიკური ზეწოლისგან სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა და თუ ვინმეს უნდა, მედავოს.

**— არ გედავებით, მაგრამ საკითხავია, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მკურნალობა ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელსაც ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი ისედაც მძიმედ აწევს მხრებზე?**

— ეს არ არის ბიზნესპროექტი, რომელიც მხოლოდ მოგებაზე იქნება ორიენტირებული. ესაა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი საქმიანობა საზოგადოების გასაჯანსაღებლად, შესაბამისად, მას სოციალური დანიშნულება აქვს. საქართველოს მოსახლეობისთვის მკურნალობა იქნება აბსოლუტურად ხელმისაწვდომი დაზღვევის სისტემის განვითარებისა და სხვა მექანიზმების გამოყენებით, თუმცა უცხოელებისთვის აქ მკურნალობა შესაძლებელია საერთაშორისო სტანდარტებით განისაზღვროს და საკმაოდ ძვირიც იყოს.

**— როდის იგეგმება ადრონული ამაჩქარებლის საქართველოში შემოტანა?**

— ამაჩქარებლის დაპროექტებას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას დაახლოებით ორი წელი სჭირდება; გარდა ამისა, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებია მოსამზადებელი და ამ პერიოდში შეიძლება ახალგაზრდები გაიგზავნონ უცხოეთში, იმუშაონ ცნობილ მეცნიერებთან და შემდეგ უკვე მიზნობრივად გაზრდილი კადრები ჩაერთონ პროექტის რეალიზაციაში; ამას ისიც დაუმატეთ, რომ ამაჩქარებლის ექსპლუატაციაში გაშვებასაც რამდენიმე წელი სჭირდება. ასე, რომ, სავარაუდოდ, 6-7 წელია საჭირო ადრონული თერაპიის გარშემო ტექნოლოგიური ინსტიტუტის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის. მცირე დროში ეს ვერ მოესწრება, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ეტაპობრივად ამოქმედდება. ასე რომ, სამეცნიერო კვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენება არა მარტო ადრონულ თერაპიაშია შესაძლებელი, არამედ სოფლის მეურნეობაში, კარდიოლოგიაში და სხვ. დარგთაშორისი კვლევები სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიაზე იქნება ორიენტირებული. შინაარსის, დანიშნულებისა და ორგანიზების თვალსაზრისით ამ პროექტის შედეგი განათლებისა და მეცნიერების დღეს არსებული სისტემის ალტერნატივაა.

**— თუ ისევ გარკვეულ პრობლემებს არ წააწყდით... მახსოვს, თავის დროზე, ბევრი წინააღმდეგობა შეგხვდათ...**

— 2012 წელს, როცა ბიძინა ივანიშვილს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცის სრული რეფორმირება და გარდაქმნა სურდა დასავლური სტანდარტების გათვალისწინებით, გია დვალს სთხოვა, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სისტემის ახალი მოდელი შეემუშავებინა. სისტემას გაჯანსაღება სჭირდებოდა. დიდხანს მსჯელობდნენ, როგორი ყოფილიყო პროექტი, მაგრამ იმ დროს კონცეპტუალურ ხედვას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და აღარც განხორციელებულა. როდესაც საუბარია საგანამათლებლო-სამეცნიერო სივრცის დასავლურ მოდელზე გადაწყობაზე, შინაარსი სამ კომპონენტს გულისხმობს — აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ მიუკერძოებლობასა და ხარისხს, რაც ადვილი განსხორციელებელი არ არის. მართალია, ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველო სწორედ ამ გზით მიდის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არც ერთი ადგილობრივი უნივერსიტეტი არ არის არც ერთ სარეიტინგო სისტემაში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ განათლების დონეა დაბალი. რეალობა აბსოლუტურად განსხვავებულია — შინაარსობრივად ჩვენი სისტემა დასავლურისგან მკვეთრად განსხვავდება. სწორედ ეს წრე იყო ჩაკეტილი. ახალი მოდელის განხორციელება არც სამეცნიერო საზოგადოების დიდ ნაწილს სურდა... ეტყობა, ამან სისტემაში შფოთი შეიტანა და გარკვეული დისკომფორტი გამოიწვია.

**— იქნებ ეს ერთგვარი ეგოიზმი იყო — წლების განმავლობაში მეცნიერები ჩვენს ქვეყანაში არავის ახსოვდა...**

— ...მეცნიერი არ შეიძლება იყოს მივიწყებული და დაჩაგრული. იგი ყოველთვის და ყველგან შემოქმედებით წვაშია და თავს გრძნობს, როგორც თევზი — წყალში... ასე რომ, მხოლოდ ადმინისტრაციული ზეწოლა შემოქმედ ადამიანზე გავლენას ვერ მოახდენს.

**— რატომ, ახლა ხომ მითხარით, ეს პროექტიც თავის დროზე გარკვეული ზეწოლის გამო გაჩერდაო?**

— კი, მაგრამ მეცნიერებს მუშაობა ხომ არ შეუწყვეტიათ და არც უფუნქციოდ ყოფილან. ამ პროექტთან დაკავშირებითაც უნდა დაიდოს კონცეპტუალური დებულებები და კანონით განმტკიცდეს...

**— ქალბატონო მარიამ...**

— ვიცი, ახლა მეტყვით, რომ კანონი შეიძლება ვერ გახდეს გარანტი, მაგრამ როდესაც ასეთ დიდ პროექტზე საუბრობ, ის ღირსია, შემუშავდეს კონცეფციაც და განსაკუთრებული სტატუსის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ბაზაც. სხვა ელემენტებთან ერთად გარანტიათა მთელი სისტემა იქმნება, რაც პროექტის განხორციელებას რეალურს ხდის. ასეთი დამთხვევა იშვიათად ხდება — გვაქვს საერთაშორისო დონის პროექტი, გვყავს მისი განმახორციელებელი საერთაშორისო დონის მეცნიერები, როგორც თეორეტიკოსი, ასევე ექსპერიმენტატორი და არსებობს ფინანსური უზრუნველყოფაც. ამ შანსის არგამოყენებას, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება არ დაუშვებს.

რეგიონი

# კურორტ გომარდულში ტურისტებისთვის განკუთვნილ კოტეჯებში დამსვენებელს ამ დრომდე ვერ იღებენ

## სააქციო საზოგადოება „გომარდულს“ სახელმწიფოს ვალი აქვს

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ზღვის დონიდან 1 250 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტ გომარდულში, რომელიც ბათუმიდან 74 კილომეტრში მდებარეობს, ტურისტებისთვის განკუთვნილ კოტეჯებში დამსვენებელს ამ დრომდე ვერ იღებენ. სააქციო საზოგადოება „გომარდულს“ სახელმწიფოს ვალი აქვს — „გომარდულის“ მფლობელების საბანკო ანგარიშებს სახელმწიფომ ინკასო შარშან დაადო. აქციონერებმა, გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფის თხოვნით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, არჩილ ხაბაძეს ჯერ კიდევ შარშან მიმართეს. სააქციო საზოგადოების ერთ-ერთი მფლობელი რამაზ მსახურაძე ამბობს, რომ პასუხი ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ დახმარების იმედი აქვთ.

კოტეჯების გარდა, სამთო-სათხილამურო კურორტ გომარდულზე დამსვენებელს საკუთარ პროდუქტს სთავაზობს ადგილობრივი მოსახლეობაც და ტურისტების სიმცირეზე ისინიც საუბრობენ. მათი თქმით, დამსვენებლის კლების ერთ-ერთი მიზეზი მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა.

**„უკეთესს ველოდით, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, გზა ვერ გაკეთდა, შუქიც არ გვაქვს, ქარი გაიქროლებს და გაითიშება. ვის უნდა ჩაბნელებული სოფელი და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა? გზა დროულად არ გაწმინდეს თოვლისგან, „მარშუტკა“ ჯაჭვებით გადაადგილდება. წელს, სეზონზე მხოლოდ ხუთი დამსვენებელი მყავდა, შარშან ბევრი იყო, კოტეჯებშიც დადიოდნენ ტურისტები და ოჯახებშიც. სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს, თორემ არაფერი გვეშველება“,** — ამბობს გომარდულელი **ფატი ნაკაშიძე.**

იმის მიუხედავად, რომ პროექტი „გომარდული“, პრაქტიკულად, ჩავარდა, აჭარის მთაში კიდევ ერთი სამთო კურორტის გახსნა იგეგმება. კურორტების მომავალს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მამუკა ბერძენიშვილი** ასე ხედავს: **„მთავრობამ გააცნობიერა გომარდულის პრობლემა და, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, მიმდინარეობს გზების ძიება, რომელიც ყადაღის მოხსნამდე მიგვიყვანს, თუმცა გამიჭირდება პროგნოზი, როდის შეძლებს კოტეჯები დამსვენებლის მიღებას. სამთო-სათხილამურო კურორტი „გოდერძი“ კი 2015 წელს გაიხსნება და აჭარაში ყველაზე პერსპექტიული კურორტია, რადგან განთავსების ყველაზე მეტი ადგილი, სასრიალო ტრასა და ინფრასტრუქტურა აქვს“.**

ტურისტების არარსებობაზე საუბრობენ სოფელ ნიგაზეულშიც, სადაც საოჯახო ტიპის სასტუმროები არასამთავრობო ორგანიზაცია CHF-ის ხელშეწყობითა და USAID-ის დაფინანსებით 2007 წელს მოეწყო.

ნიგაზეულში ოთხი „გესთჰაუსია“: „მწვანე სახლი“, „იმედი“, „ავთო“ და „ქვემოურები“. მათი მფლობელები ამბობენ, რომ საოჯახო სასტუმროები მომგებიანი არ არის და ტურისტების შემცირებას ქვეყანაში შექმნილი ვითარებით ხსნიან.

**მალხაზ ხიმშიაშვილმა** საოჯახო ტიპის სასტუმრო „ავთო“ არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით, რვა წლის წინ იმ იმედით მოაწყო, ოჯახს შემოსავალი გაუჩნდებოდა. სახლის მეორე სართულზე დამსვენებლისთვის სპეციალურად მისაღები ოთახი, საძინებლები და სველი წერტილები გააკეთა, ავეჯით აღჭურვა. ამბობს, რომ ბოლო ერთი წელია დამსვენებელი არ ჰყოლია: **„არასამთავრობო ორგანიზაციამ ოთხი ოჯახი დაგვაფინანსა — მე 4 800 დოლარი გამომიყო. იმ თანხით სახლის მეორე სართულზე ვიზიტორებისთვის სამი საძინებელი, მისაღები და სველი წერტილები მოვაწყვე. მართალია, არც მაშინ იყო ბევრი დამსვენებელი,**



**მაგრამ ახლა საერთოდ არავინ მოდის. ერთი წელია ტურისტი არ მყოლია. ყველაფერი ძვირდება, ალბათ, ესეცაა მიზეზი“.**

ერთი წელია დამსვენებელს ელის „ქვემოურების“ მასპინძელი, 76 წლის **შუშანა ხიმშიაშვილი.** მათ დამსვენებლისთვის ეზოში ფანჩატური მოაწყვეს და, ხარჯის შემცირების მიზნით, აივანზე მზის გამაცხელებელიც დააყენეს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მამუკა ბერძენიშვილი** ამბობს, რომ ტურისტის მოსაზიდად მათი დეპარტამენტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს. დეპარტამენტმა 2015-2018 წლების ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა. თუმცა, ამ საკითხში, მნიშვნელოვან როლს ინფრასტრუქტურა და ტურისტული მეურნეობების რეკლამირება ასრულებს. დეპარტამენტი კი მხოლოდ ნაკლებბიუჯეტიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს: **„გეგმაში გაწერილია, რა უნდა გაკეთდეს ტურიზმის განვითარებისთვის აჭარის მთიან ნაწილსა და არაურბანული ტიპის დასახლებაში. ღვინის ტურიზმს ვავითარებთ, ვახდენთ პოტენციური მარშრუტების მარკირებას, რომელიც მეტი ტურისტული სერვისის შესაძლებლობას აძლევს სოფლად მეურნეობებს. მარკირება ელექტრონულადაც ხდება და ფიზიკურადაც. აჭარის მთიანეთში 10 მარკირებული მარშრუტი გვაქვს, მომავალში 5 დაემატება. სოფლად არსებული ტურისტული მეურნეობები შეგვაქვს ბროშურაში. ჩვენი ყველა ბროშურა ხვდება იმ სარეკლამო კამპანიაში, რომელსაც სამიზნე ქვეყნებში ვაწარმოებთ: 25 საერთაშორისო გამოფენაში ვმონაწილეობთ, შესაბამისად, ეს მასალები საერთაშორისო გამოფენაზე ვრცელდება; მეურნეობების წარმომადგენლებს ვასწავლით, ბიზნესის წარმოებასა და ტურისტის მომსახურებას. შეუსაბამო ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობა, გზების მდგომარეობა აისახება ტურიზმზე. მტირალას პარკამდე მისასვლელი გზაც შენდება, რაც შედეგს გამოიღებს და უფრო მეტი ვიზიტორი ეყოლება, ვიდრე შარშან ჰყავდა. ასევე კეთდება გოდერძის უღელტეხილთან მისასვლელი გზა“.**

რაც შეეხება ნიგაზეულის „გესთჰაუსებს“, **მამუკა ბერძენიშვილი** ამბობს: **„გესთჰაუზები“ ნიგაზეულში 2007 წელს გაიხსნა, მაგრამ მათი პოპულარიზაცია 2012 წელს დაიწყო, მანამდე მათი განვითარებისთვის სახელმწიფო პროგრამები არ არსებობდა და შედეგის მისაღებად 4-5 წელია საჭირო“.**

დიპლომატის ტრიბუნა

# ექსკლუზიური ინტერვიუ უნგრეთის ელჩთან

## როგორ აფასებს ქართულ-უნგრულ ურთიერთობებს და რა ახალ ერთობლივ პროექტებზე საუბრობს შანდორ საბოსი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**როგორც ბალტიისპირეთის სამი, ისე ვიშეგრადის ჯგუფის ოთხივე წევრი ქვეყანა საქართველოს აქტიური მხარდამჭერია. მათ ჩვენს მიმართ სიმპათია არაერთხელ დააფიქსირეს, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობაც არაერთხელ აღიარეს საქვეყნოდ. ისინი ასევე მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს. საქართველო-უნგრეთის მეგობრული ურთიერთობის შესახებ მხარეებმა, რამდენიმე დღის წინ, ბუდაპეშტშიც ისაუბრეს, სადაც ქართული დელეგაცია, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, შანდორ საბოსთან.**

— მხარეებს შორის ამ დონის ოფიციალური ვიზიტი, უკვე მესამეა. პირველად, თქვენი პრემიერი უნგრეთს 2012 წლის თებერვალში ეწვია. შემდეგ, იმავე წლის სექტემბერში, ჩვენი პრემიერ-მინისტრი ჩამობრძანდა საქართველოში, ახლა კი, ისევ ირაკლი ღარიბაშვილი ჩავიდა ბუდაპეშტში, უნგრეთის მხარის მოწვევით. ორმხრივი თანამშრომლობის ფოკუსში ეკონომიკა და ინვესტიციები მოექცა. 2013 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობის ერთიანი კომისია შევქმენით, რომლის ფარგლებშიც ორი შეხვედრა გაიმართა. ბოლო შეკრება ოქტომბერში იყო. გარკვეულ პროგრესს მივაღწიეთ ინვესტიციების მიმართულებით. ვფიქრობთ, ახლა ზუსტად შესაფერისი მომენტია, რომ დამაჩქარებელი ბიძგი მივცეთ ამ კავშირებს პრემიერ-მინისტრების მხრიდანაც. ვიზიტის განმავლობაში, ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს მოეწერა ხელი: კულტურის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის და საგარეო უწყებათშორისი კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებას. საინტერესო იყო ირაკლი ღარიბაშვილის ლექცია, რომელიც მან უნგრული კომპანიებისთვის წაიკითხა. მას დაახლოებით 50-60 ადამიანი ესწრებოდა. ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში ინვესტიციების



ჩადებით, ქართული ბიზნესგარემო გააცნო.

**— კიდევ რა პროგრესი მოაქვს ერთიანი ეკონომიკური კომისიის მუშაობას, რომელსაც დადებითად აფასებთ?**

— შემდეგი შეხვედრა წელს, ბუდაპეშტში შედგება. უკვე კონკრეტულ ნაბიჯებზე იყო საუბარი. პირველი: აპრილში, უნგრეთის მხარე თბილისში ეროვნულ სავაჭრო სახლს გახსნის. რამდენიმე ასეთი ტიპის დაწესებულება უკვე გავხსენით ევროპის მასშტაბით. მაგალითად, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ეს ოფისი კოორდინაციას გაუწევს ქართველ და უნგრელ ექსპორტიორებს; ამას გარდა, დაევალება, შეკრიბოს პოტენციური მოთამაშეები ამ ორ ბაზარზე. ალბათ, ქართველი კადრებით იქნება დაკომპლექტებული, მაგრამ უნგრელი მენეჯმენტი ეყოლება. ქართულ მხარესთან გავივლით კონსულტაციებს, თუ როგორ განვახორციელოთ ეს იდეა. ვიმედოვნებთ, ასეთი სავაჭრო სახლის არსებობა გააუმჯობესებს ამ სფეროში ინფორმაციის გაზიარების პროცესს.

**— ეკონომიკის მიმართულებით, მიღწეული რა შედეგებია მნიშვნელოვანი?**

— უნგრული ექს-იმ ბანკი გახსნის საკრედიტო ჩარჩოს. ის 50 მილიონ დოლარს გამოყოფს უნგრული კომპანიებისა და მეწარმეთათვის. ეს იქნება სარგებლიანი სესხი მათთვის, ვინც გადაწყვეტს, რომ სურს საქართველოში დაბანდება ძალიან ხელსაყრელი პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ მალე ამოიწურა ეს თანხა, შეგვიძლია, ახალი საკრედიტო ანგარიში გავხსნათ. ეს უნგრეთის შეთავაზებაა, რასაც ქართული მთავრობა სიხარულით დათანხმდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია პროგრამა „სტიპენდიუმ ჰუნგარიკუმი“, რომლის ფარგლებშიც, 50 ქართველ სტუდენტს სექტემბრიდან უნგრეთში წასვლის საშუალება მიეცემა. ეს პროგრამა გასულ წელს დაიწყო. მაშინაც 50 სტუდენტი უნდა წასულიყო, მაგრამ 22 წავიდა. იმედია, წელს 50 გაემგზავრება უნგრულ უნივერსიტეტებში. ხარჯებს მთლიანად უნგრული მხარე დაფარავს. მოლაპარაკების საფუძველზე, შეირჩა დარგები: სოფლის მეურნეობა, საინჟინრო, ბიზნესი, საექთნო საქმე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სადოქტორო ინგლისურ ენაში... უნგრეთი ადგენს კვოტას და შემდეგ, თითოეული უნივერსიტეტი არჩევს, ვინ გაგზავნოს. სწავლა გაგრძელდება 4-5 წლის განმავლობაში, მაგრამ თუ სტუდენტი მთლიანი კურსით არ არის დაინტერესებული, შეიძლება, 1-2 წლით დარჩეს. სწავლება ინგლისურ ენაზეა. ქართულმა მხარემ შემოგვთავაზა, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სექტემბრიდან 5 უნგრელ სტუდენტს მიიღებს.

**— რამდენად ეფექტური იქნება სხვა უწყებებს შორის მოლაპარაკებები?**

— კულტურის სამინისტროებს შორის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, გაადვილდება უნგრული კულტურის დღეების მოწყობა საქართველოში და პირიქით. საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის მუდმივი კონსულტაციები იქნება სხვადასხვა საკითხზე.

**— საგარეო პოლიტიკაც, როგორც ვიცი, მხარეებს შორის საუბრის ერთ-ერთი მთავარი სფეროა.**

— რა თქმა უნდა... ახალი ამბავი არ არის, რომ უნგრეთი მხარს უჭერს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. დიდი ყურადღება ექცევა უვიზო რეჟიმს. უნგრეთი მომავალ რიგის სამიტზე დააყენებს საკითხს, დასრულდეს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და პოზიტიური შეფასება მიეცეს. თუმცა, ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის ერთიანი გადაწყვეტილება ჯერ არ არის ცნობილი და შესაბამისად, არ ვიცით, როდის შევა ძალაში უვიზო მიმოსვლა. უნგრეთი იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებიც საქართველოს ამ მიმართულებას მხარს უჭერენ. მოლდოვას უკვე აქვს უვიზო რეჟიმი და მგონია, ამ ჯგუფში საქართველო შემდეგი უნდა იყოს, რადგანაც უკრაინაში არეულობაა. ევროკავშირის სარწმუნოობა ძალიან მნიშვნელოვანია. ასოცირების ხელშეკრულება კარგია, მაგრამ ქართველმა ხალხმა კონკრეტული შედეგები უნდა დაინახოს. ასევე, უმნიშვნელოვანესი და ხალხისთვის სასარგებლოა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა.

**— საინტერესოა, როგორ აფასებთ აბაშიძე-კარასინის ფორმატის აღდგენას?**

— ძალიან მოხარული ვარ. რაც უნდა დაძაბული იყოს ვითარება, ყოველთვის დიალოგის მომხრე ვარ. იგივე პოზიციაზეა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მინიმუმ, რაც შეიძლება გაკეთდეს, არის დიალოგი. თუ ასე არ მოხდება, მაშინ, რჩება იარაღი და ომი. უნგრეთი კი მშვიდობის მხარესაა. მეზობელი მეზობელია. მე ვარ ზომიერი და არა რადიკალური მიდგომის მომხრე. თქვენი დღევანდელი მთავრობა ცდილობს, რუსეთს პროვოკაციის მოწყობის არანაირი საბაბი არ მისცეს. ეს ძალიან ჯანსაღი მიდგომაა. თუმცა, თქვენ დღევანდელ მთავრობასაც არაერთხელ გაუკრიტიკებია რუსეთი 2008 წლის, ისევე, როგორც ყირიმის ანექსიისა და უკრაინის დღევანდელი მდგომარეობის გამო. ზოგადად, პოზიტიურად ვაფასებ აბაშიძის დანიშვნას, რასაც შედეგად თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენა, ასევე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება მოჰყვა.

კრიმინალი

# პუტინის მსხვერპლთა სია

## რუსეთის პრეზიდენტის მამხილებლების უცნაური სიკვდილი

**რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი, 3 მარტს მიაბარეს მიწას. მკვლელობიდან დაკრძალვამდე, რუსეთის დედაქალაქში, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მარში მოეწყო, რომლის დროსაც, სამართალდამცავებმა 50-მდე ადამიანი დააკავეს. ოფიციალური ინფორმაციით, ისინი საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ. მოსკოვის ცენტრში, სამგლოვიარო მარშში 60 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ასეთივე მარშები, სანკტ-პეტერბურგში და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, რუსეთის საელჩოების წინ გაიმართა.**

**რუსულ ინტერნეტსივრცეში ბორის ნემცოვის მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად აქტიურად განიხილება ე.წ. ჩეჩნური კვალი, მომხდარს უკვე უწოდეს „კადიროვის საჩუქარი პუტინს“. „კადიროვის კვალზე“ განცხადება რუსების მიერ კონტროლირებადი ე.წ. დონბასის სახალხო რესპუბლიკის მეთაურმა ალექსანდრე ზახარჩენკომაც კი გააკეთა. ძიების წინასწარი მონაცემებით, ცნობილია, რა მანქანით მოძრაობდა ნემცოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ასევე ავტომანქანის ნომრები. ის ჩრდილოოსეთის რესპუბლიკას ეკუთვნის. ავტომანქანა ჯერ ნაპოვნი არ არის. პარალელურად იძებნება მკვლელობაში ეჭვმიტანილი.**

**გამოძიების პარალელურად, რუსულ მედიაში პუტინის მსხვერპლებს, ანუ იმ ადამიანებს იხსენებენ, ვინც რუსეთის პრეზიდენტს გზაზე გადაელობა, მის შესახებ ბევრი რამ იცოდა, მას ოპონირებას უწევდა, ამხელდა თუ ებრძოდა. მოკლედ, გთავაზობთ იმ ადამიანების სიას, რომლებიც ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის პოლიტიკურ ინტერესებსა თუ ამბიციებს შეეწირა და რომლებიც, გაურკვეველ ვითარებაში თუ უცნაურად დაიღუპნენ.**

1. **გალინა სტაროვოიტოვა** — 90-იანი წლების ბოლოს აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის ფედერაციაში „ლუსტრაციის კანონს“, რომლის თანახმად კაგებე-ს ბევრ თანამშრომელს, ისეთებს, როგორიცაა პუტინი, შეიძლებოდა მაღალი თანამდებობების დაკავება აკრძალვოდათ. მოკლეს სანკტ-პეტერბურგში, თავისი სახლის სადარბაზოში.

2. **ანატოლი სობჩაკი** — როგორც ამბობენ, გარდაიცვალა უცნაური სიკვდილით, ოფიციალური ვერსიით, გულის მწვავე უკმარისობით. ბევრი რამ იცოდა პუტინის საქმეების შესახებ.

3. **არტემ ბოროვიკი** — ჟურნალისტი, რომელმაც ფარდა ახადა პუტინისა და ელცინის ოჯახის ფინანსურ მაქინაციებს. დაიღუპა, ძალიან უცნაურ ავიაკატასტროფაში, აფრენისას.

4. **ალექსანდრე ლებედი** — პუტინის პოლიტიკური კონკურენტი. დაიღუპა ვერტმფრენ „მი-8“-ს კატასტროფის დროს.

5. **ანნა პოლიტკოვსკაია** — იყო დოკუმენტური წიგნების ავტორი, რომლებიც ეძღვნებოდა პუტინის დროს, რუსეთის არმიის მიერ ჩეჩნეთში, მოსახლეობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებს. მოკლეს თავისი სახლის სადარბაზოში.

6. **ბორის ბერეზოვსკი** — ბიზნესმენი და პოლიტიკოსი. პუტინი პოლიტიკურ არენაზე მან გამოიყვანა და შესაბამისად, ბევრი რამ იცოდა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის შესახებ. ბერეზოვსკი ასევე იყო პუტინის ბევრი საქმის თანამონაწლია მისი კარიერის დასაწყისში. ოფიციალური ვერსიით, იგი უცნაურად დაიღუპა — თავი მოიკლა.




7. **ალექსანდრე ლიტვინენკო** — ეფესბე-ს ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც დაწერა სტატია იმის შესახებ, რომ პუტინი პედოფილია. სასიკვდილოდ მოწამლეს რადიოაქტიური პოლონიუმ-210-ით.

8. **სერგეი მაგნიტსკი** — ბუღალტერი და აუდიტორი. გამოაქვეყნა გამოძიება კრემლის კორუფციული დანაშაულების შესახებ. დაიღუპა ციხის საავადმყოფოში.

9. **ლეხ კაჩინსკი** — პოლონეთის პრეზიდენტი. დაიღუპა ამოუცნობი ავიაკატასტროფის შედეგად სმოლენსკთან (რუსეთის ფედერაცია).

10. **ვალერია ნოვოროდსკაია** — პუტინის აქტიური კრიტიკოსი. 21-ე საუკუნის ნამდვილი რუსი დისიდენტი. გარდაიცვალა საავადმყოფოში „ინფექციურ-ტოქსიკური შოკის“ შედეგად.

11. **ბორის ნემცოვი** — ოპოზიციონერი. შეკვეთილი მკვლელობა.

რა თქმა უნდა, ეს არასრული ჩამონათვალია იმ ადამიანების საზარელი მკვლელობისა, სიკვდილისა თუ ავიაკატასტროფისა, რომლებიც საუბრობდნენ პუტინის „საგმირო საქმეებზე“, ამხელდნენ მას ან ხელს უშლიდნენ დანაშაულებრივ მოღვაწეობაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იძულებულები გახდნენ, წასულიყვნენ რუსეთიდან. მაგალითად გუსინსკი, ხოდორკოვსკი, კასპაროვი... და ბერეზოვსკი, რომელიც პუტინის მსხვერპლთა სიაშია.

მიუხედავად იმისა, რომ მათი სიკვდილისას, აშკარად იყო შეკვეთილი მკვლელობის ნიშნები, პუტინი და მისი ადმინისტრაცია, ყოველ ჯერზე აცხადებდა, რომ მას „არ აწყობდა“ კონკრეტული ადამიანის სიკვდილი და პროვოკაციაზე პირდაპირ მიანიშნებდა. ახალი, ამჯერადაც არაფერია. ასე მოხდა ნემცოვის შემთხვევაშიც. „ვლადიმერ პუტინს მიაჩნია, რომ ეს არის განსაკუთრებული პროვოკაციული ხასიათის შეკვეთილი მკვლელობა“, — ავრცელებს ინფორმაციას რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი პესკოვი. ასეა თუ ისე, ფაქტია — მინიმუმ 15 წელი, პუტინმა თავისი მოწინააღმდეგეების გვამებზე იარა და ამ გვამებით მოფენილმა გზამ იგი აბსოლუტურ და ტოტალურ მმართველობამდე მიიყვანა.



1. პატარა სისხლის-მწოველი მწერი
2. მხარე იმერეთში
3. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა
4. ხმის ჟღერა-დობის ელფერი
5. ტეხილი ხაზი
6. ქართლის სახელწოდე-ბა ანტიკურ ლიტერატ.
7. ჰო-ლივუდის მსახიობი რენე ...
8. რუსული სიმებიანი საკრავი
9. ალ-პინისტის ფეხსაცმელი
10. ორი ერთმანეთში გაყბ. სითხის ნარევი
11. კატის ხმიანობა
12. შეიარაღ. ბრძოლა ქვეყნებს შორის
13. დიდი საცეკვაო სალამო
14. სახ-ელმწიფო აფრიკაში
15. იგივე დურბინდი
16. საეკლესიო შენაერთი ძვ.რომში
17. ზოგი არჩევითი ორგანოს სახელწოდება
18. ზევსის მკვებავი თხა
19. ცუდი, საძრახისი რამ
20. ჟორჟ ვეას მშობ-ლიური ქვეყანა
21. სახელმ-წიფო აღ-მოსავლეთ აფრიკაში
22. ცხენის გასარეკი შეძახილი
23. ბაჰრეინის დედაქალაქი
24. ცხენთ-სარბიელი
25. ქარიშხალი ზღვაზე
26. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
27. ფულის გამოძალვა მუქარით
28. მტაცებელი ცხოველი
29. იაპონელთა ჯიბის ყუთი
30. (ძვ.) ინგლისური ოქროს ფული
31. იეზუიტთა ორდენის დამაარსებ.
32. ჭაობის მცენარე
33. ფრანგული ავტომარკა
34. მყინვარები თუშეთში
35. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
36. აშშ-ის კინო-აკადემიის ჯილდო
37. დია-ოხის მეფე
38. ბერძნული ანბანის I ასო
39. ყველაზე პატარა თითი
40. ბოროტების ღვ-თაება ძველ სპარსულ რელიგიაში
41. კარგი ამინდი
42. მოუხ-ერშავი ან შეუწველი
43. მარ-ტოხელა, უსახლკარო ბიჭი
44. ხრიკი, ფანდი
45. მაწვნი-დან კარაქის მოხდისას დარჩ. სითხე
46. გმირი არაგველების რაოდენობა
47. ტროას მეფის წინას-წარმეტყვე-ლი ასული
48. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
49. იტალიელი კომპო-ზიტორი
50. დედალი ცხოველის სასქესო აქტ. პერიოდი
51. სოფელი სენაკის რაიონში
52. მოხვევა, მობრუნება, მრუდ ხაზზე მოძრაობა
53. დიდი მუწუკი
54. წყლის აუზის ფსკერის ნალექი
55. ბიბლიური კიდრონის ამები
56. მცენარე, რომ-ლის ფესვებს საღ-დგომო კვერცხების შესაღებად ხმარობენ
57. მუსი-კალ. გამის V ნოტი
58. ცხელი მატონი-ზირებელი სასმელი
59. მიამიტი, გამოუცდე-ლი ადამიანი
60. მზის საგალობე-ლი რაჭაში
61. სოფელი გორის რაიონში



# ყველაზე „მოღალატე“ ერები

პრეზერვატივების მწარმოებელმა კომპანია Durex-მა ყველაზე მოღალატე ერების რეიტინგი შეადგინა. გამოკვლევა Sexual Wellbeing Global Survey, არა მხოლოდ ღალატს, არამედ მთლიანობაში, სექსსა და ჯანმრთელობას ეხებოდა. სიის ლიდერი ტაილანდი აღმოჩნდა. ამ ქვეყნის მცხოვრებთა 56% პარტნიორს ღალატობს. კვლევაში აღნიშნულია, რომ ტაილანდში ბევრ ცოლ-ქმარს გაუკულმართებული სქესობრივი კავშირი აქვს. კომპანიის გამოკითხვაში მონაწილეობა 26 ქვეყნის 26 ათასმა წარმომადგენელმა მიიღო — ყოველ ქვეყანაში 1000 ადამიანი გამოიკითხა. ისიც გაირკვა, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში, ადამიანების უმრავლესობა ღალატს „ეგუება“ და არ განიხილავენ მას, როგორც ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზს. ყველაზე „მოღალატე“ ერების ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: ტაილანდი (56%), დანია (46%), იტალია (45%), გერმანია (45%), საფრანგეთი (43%), ნორვეგია (41%), ბელგია (40%), ესპანეთი (39%), დიდი ბრიტანეთი (36%), ფინეთი (35%).

# ყავის ნალექს საწვავად გამოიყენებენ



ადამიანების უმრავლესობა, ყოველ დილით, ალბათ, ერთ ფინჯან ყავას მაინც იდუღებს. ვისაც ნალექიანი ყავა უყვარს, იცის, რომ მადუღარასა თუ ფინჯანში ბოლოს ყოველთვის რჩება ნალექი. სწავლულები კი აცხადებენ, რომ, თუ გამოყენებულ ნალექს მოვაგროვებთ (მსოფლიოში ნამდვილად დიდი რაოდენობით ყავას სვამენ და შესაბამისად, ნალექიც ბევრი დარჩება), მისგან შესანიშნავი, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მიღება შეიძლება, რასაც არა მხოლოდ ავტომანქანებში, არამედ ენერგიის მოხმარების სხვა წყაროებისთვისაც გამოვიყენებდით. აშშ-ს ცინცინატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომლის მიხედვითაც, ყავის ნალექი ენერგეტიკულ წყაროდ იქცევა. ჯერ კიდევ 2010 წელს სწავლულებმა დაიწყეს ტექნიკის შემუშავება ყავის ნარჩენების კონვერტაციისთვის, რომელსაც Starbucks-ის ქსელის კაფეებისგან იღებდნენ. კონვერტაცია ნალექის გაშრობას, მის დაპრესვას და შემდგომში გაწმენდას ითვალისწინებს, საბოლოოდ კი საწვავისმაგვარი ბიომასა მიიღება.

# უმუშევრობა აბერებს



ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმუშევარი მამაკაცები უფრო სწრაფად ბერდებიან, ვიდრე მათი დასაქმებული თანატოლები. მკვლევართა განცხადებით, ორგანიზმის დაბერების პროცესის ტემპი უფრო იმატებს, თუ უმუშევრობა ორ წელიწადზე მეტხანს გრძელდება. სწავლულებმა 5,5 ათასზე მეტი მამაკაცისა და ქალის დნმ-ის ნიმუშები გამოიკვლიეს, რომლებიც 1966 წელს იყვნენ დაბადებულები და ფინეთში ცხოვრობდნენ. მათი სისხლის უჯრედების ტელომერების სიგრძე გაზომეს 1997 წელს და აღმოჩნდა, რომ უფრო მოკლე ტელომერები ჰქონდათ მამაკაცებს, ვინც ორ წელიწადზე მეტ ხანს უმუშევარი იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი კანონზომიერება სუსტი სქესის წარმომადგენლებში არ დაფიქსირებულა. ცნობილია, რომ ტელომერების სიგრძე დაბერების, ასაკობრივი დაავადებებისა და ადრეული სიკვდილიანობის მაჩვენებელია, გამოკვლევის ავტორთა განცხადებით კი, სამსახური ცხოვრების ჯანსაღი წესის ნაწილია.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 7 | 6 | | | | | |
| 1 | | | | | 7 | | | |
| 5 | | | | 9 | 8 | | 6 | |
| 3 | | | | 4 | | | | |
| 9 | 8 | | | | | | 2 | 1 |
| | | | | 8 | | | | 5 |
| | 7 | | 9 | 3 | | | | 6 |
| | | | 4 | | | | | 7 |
| | | | | | 5 | 2 | | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 8 | 6 |
| | | | | | 4 | 7 | 2 | |
| | | | 3 | | 8 | | 9 | |
| | 7 | | | | 6 | | 5 | 3 |
| | | 6 | 1 | | 9 | 4 | | |
| 4 | 3 | | 8 | | | | 1 | |
| | 2 | | 4 | | 7 | | | |
| | 8 | 7 | 5 | | | | | |
| 5 | 4 | | | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | | 6 | 7 | 2 | |
| | | | 9 | | | | | |
| | 6 | 7 | 5 | | 2 | 3 | | |
| 2 | | 4 | | | | | | |
| 1 | 9 | | | | | | 4 | 3 |
| | | | | | | 2 | | 1 |
| | | 5 | 7 | | 3 | 6 | 8 | |
| | | | | | 1 | | | |
| | 7 | 3 | 6 | | 9 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | 6 | | 4 |
| | | 6 | | | | | | |
| 8 | 5 | 7 | | | 2 | | | 3 |
| | | | | | 5 | 2 | | 9 |
| | 2 | | 7 | | 1 | | 8 | |
| 3 | | 8 | 4 | | | | | |
| 6 | | | 3 | | | 7 | 2 | 1 |
| | | | | | | 9 | | |
| 1 | | 9 | | | 7 | | | |

# ტემპერამენტს წელიწადის დრო განსაზღვრავს



წელიწადის დრო, გავლენას ახდენს ადამიანის განწყობასა და აფექტის მდგომარეობის განვითარების რისკზე, — ასკვნიან უნგრელი სწავლულები და აცხადებენ, რომ ამასვე ადასტურებს ბიოქიმიური კვლევები. საქმე ისაა, რომ ნეიროგადამცემების, დოფამინისა და სეროტონინის დონე მკვეთრად მერყეობს წლის განმავლობაში და შედეგად ასეთ სურათს ვიღებთ: ზაფხულში დაბადებულებს უფრო ხშირად ციკლოტიმიური ტემპერამენტი (ხასიათის მკვეთრი ცვლილებები) აქვთ, ვიდრე ზამთარში დაბადებულებს; გაზაფხულზე ან ზაფხული კი ზედმეტ პოზიტიურობას უქადის. „შემოდგომის ადამიანებს“ იშვიათად აწუხებთ დეპრესია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსაკუთრებულობა არ მიეკუთვნება გადახრებს, მაგრამ გარკვეულ პირობებში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემების წარმოშობას უწყობენ ხელს.

# ფრჩხილის ლაკი გაქირავებით

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებ ქალბატონებს უჩვეულო სერვისს — ფრჩხილების ლაკისა და სხვა კოსმეტიკური საშუალებების მიქირავებას სთავაზობენ. მომსახურების საფასური, რომლის ავტორიც კომპანია Coloristiq-ია, 14,49 გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 23 დოლარი) შეადგენს თვეში. ფირმის დამფუძნებლები იმედოვნებენ, რომ ეს სიახლე ქალებს საშუალებას მისცემს, რეგულარულად დაზოგონ თანხა კოსმეტიკისა შეძენასა და მანიკურზეც. სუსტი სქესის წარმომადგენლებს დიდ არჩევანს სთავაზობენ და ერთი თვის განმავლობაში მათ შეუძლიათ, სამი ფლაკონი აიღონ ქირით და თითეული მათგანი სამჯერ გამოიყენონ. როგორც კომპანიის იდეოლოგები აცხადებენ, ფრჩხილის ლაკების „კოლექტიური ფლობა“ უსაფრთხოა მომავალი კლიენტებისთვის, რადგან ის გამორიცხავს ბაქტერიების, მიკრობებისა თუ სხვა ნებისმიერი მიკროორგანიზმის ერთი ადამიანიდან მეორეზე გადატანას.





# თავის დაწვაში რეკორდს დაამყარებს

ავსტრიელი მამაკაცი ჯო ტოდტლინგი ქალაქ ზალცბურგიდან აპირებს, თავი დაიწვას ახალი მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად. აღსანიშნავია, რომ ჯო რეკორდსმენია — მან შეძლო ყველაზე დიდხანს ყოფილიყო ცეცხლწაკიდებული. თუმცა, ახლა აპირებს, ცეცხლი წაიკიდოს და დისტანცია ისე გაირბინოს. 2013 წელს ტოდტლინგი თითქმის 5 წუთისა და 41 წამის განმავლობაში „იწვოდა“ და ცეცხლი ცოლმა წაუკიდა. მაშინ იგი ზალცბურგის ქუჩებში, მეხანძრეებით გარშემორტყმული დარბოდა, ამჯერად კი უნდა ამერიკელი ტედ ბატჩელორის რეკორდი დაძლიოს, რომელმაც ცეცხლწაკიდებულმა 50-მეტრიანი დისტანცია გაირბინა. ამ აქციის ჩასატარებლად ჯოს სამი ხელი ტანსაცმლის ჩაცმა მოუწევს, რომელიც სპეციალური სითხით იქნება გაჟღენთილი. თუმცა, ამის მიუხედავად, შეიძლება სასუნთქი გზები, თვალები ან კანი დაიზიანოს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 9 | 5 | 7 | 4 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 8 | 5 | 2 | 3 | 6 | 7 | 4 | 9 |
| 3 | 4 | 7 | 9 | 1 | 8 | 6 | 5 | 2 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 8 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 8 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 | 7 | 6 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 6 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 4 | 5 | 3 | 8 | 2 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 7 | 9 | 1 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 |
| 6 | 2 | 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 1 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 3 | 4 | 9 | 2 | 7 | 5 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 8 | 4 | 2 |
| 2 | 5 | 4 | 7 | 6 | 8 | 3 | 9 | 1 |
| 7 | 4 | 5 | 8 | 2 | 6 | 1 | 3 | 9 |
| 6 | 3 | 9 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 |
| 1 | 8 | 2 | 9 | 4 | 3 | 6 | 7 | 5 |
| 3 | 6 | 7 | 2 | 5 | 4 | 9 | 1 | 8 |
| 5 | 2 | 8 | 3 | 1 | 9 | 4 | 6 | 7 |
| 4 | 9 | 1 | 6 | 8 | 7 | 5 | 2 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 9 | 8 | 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 7 |
| 7 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 6 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 4 | 7 | 9 | 5 |
| 2 | 7 | 5 | 9 | 8 | 3 | 6 | 4 | 1 |
| 3 | 2 | 7 | 5 | 4 | 8 | 1 | 6 | 9 |
| 8 | 1 | 6 | 3 | 7 | 9 | 2 | 5 | 4 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 2 | 6 | 8 | 7 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 9 | 8 | 5 | 7 | 1 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 6 | 3 | 7 | 2 | 9 | 5 | 4 | 1 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 6 | 3 | 8 | 9 | 5 | 7 |
| 1 | 9 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 8 | 3 | 5 | 9 | 1 | 2 | 4 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 | 7 | 8 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 1 | 9 | 2 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 4 | 3 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 7 | 8 | 5 | 1 | 3 | 9 | 2 |
| 1 | 3 | 2 | 7 | 9 | 6 | 4 | 5 | 8 |
| 9 | 5 | 3 | 1 | 2 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 7 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 4 | 8 | 3 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 9 | 8 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 2 | 8 | 4 | 6 | 1 | 7 | 3 | 9 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 5 | 8 | 2 | 1 |
| 6 | 4 | 7 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 3 | 9 | 5 | 2 | 8 | 6 | 4 | 1 | 7 |
| 8 | 1 | 2 | 7 | 4 | 9 | 3 | 6 | 5 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 9 | 4 | 5 | 7 | 6 |
| 9 | 5 | 6 | 3 | 7 | 8 | 1 | 4 | 2 |
| 4 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 |
| 2 | 5 | 7 | 4 | 1 | 8 | 3 | 9 | 6 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 9 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 3 | 2 | 4 | 1 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 |
| 6 | 1 | 9 | 5 | 3 | 2 | 4 | 7 | 8 |
| 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 | 4 | 9 |
| 4 | 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 5 | 8 | 2 | 7 | 4 | 9 | 6 | 1 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 5 | 3 | 6 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 6 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 9 | 4 | 1 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 5 | 2 | 9 | 3 | 4 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 | 9 | 6 | 4 |
| 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 3 | 2 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 7 | 5 | 2 | 8 | 6 | 1 | 3 |
| 3 | 2 | 6 | 4 | 9 | 1 | 7 | 8 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. პორტრეტი; 2. ოყნა; 3. ტევტონები; 4. ეთნარქი; 5. პოპკორნი; 6. ონდატრა; 7. კონუსი; 8. რამპა; 9. თირსოსი; 10. ბოცმანი; 11. აარონი; 12. ბანოვანი; 13. ადინამია; 14. ობსერვაცია; 15. კლოშარი; 16. ნავთი; 17. ბოარნე; 18. ტოსკანა; 19. ქანობი; 20. ლიბრი; 21. ალაფი; 22. ევრო; 23. ნეკი; 24. გეიბლი; 25. იაბო; 26. ყბა; 27. რუანი; 28. უმანკო; 29. რქა; 30. ბოტანიკა; 31. საბო; 32. შრე; 33. ლიონი; 34. „გაიანე; 35. სამბო; 36. დუნია; 37. მტლე; 38. აბი; 39. აირი; 40. ლაიმი; 41. ბალავარი; 42. გილაური; 43. ადრიანე; 44. აული; 45. კანიონი; 46. ინია; 47. ნალი; 48. კვანტი; 49. ოცი; 50. ალ; 51. ონი; 52. რელე; 53. ადიდა; 54. კილერი; 55. პელე; 56. ლოა; 57. ონიქია; 58. ლავრა; 59. პკე; 60. პა; 61. „სალამბო“; 62. სუკი; 63. კოკაი; 64. ნაია.

მე-12 გვერდი: 1. პირომანია; 2. პორთოსი; 3. დერბი; 4. პლექტრი; 5. რობინია; 6. რაბინდრანატ; 7. ობრაზცოვა; 8. იაგანი; 9. უჯრედი; 10. კნუტი; 11. ბერწი; 12. ჩიხი; 13. უაილდი; 14. იჯრა; 15. ნაზი; 16. ცრუ; 17. ოკა; 18. გირაო; 19. ორესტე; 20. ვაი; 21. მურმან; 22. პიზა; 23. აკრი; 24. ნედვედი; 25. ეტრატი; 26. ზმა; 27. მანდარინები; 28. რაიანი; 29. პაი; 30. გალა; 31. კოლოსი; 32. ეტნა; 33. ნეი; 34. რარიტეტი; 35. ჯადვარი; 36. სტინგი; 37. აული; 38. იკებანა; 39. ნოსტე; 40. ხაშმი; 41. ნევადა; 42. ჯაზი; 43. იტი; 44. მანია; 45. ტერიერი; 46. დელტაპლანი; 47. ტაკვი; 48. სოხანე; 49. ელე; 50. რონდელი; 51. ემისია; 52. კაი; 53. სატელიტი; 54. „ტვიში“; 55. კაირო; 56. კატრენი; 57. მოა; 58. წითელა; 59. ატრია; 60. კაა; 61. ეოლე; 62. აპდაიკი; 63. ვეკუა; 64. კამიუ; 65. არუე; 66. ეთერ; 67. ტალინი; 68. „ბენტლი“; 69. ლაუდა; 70. არე; 71. ნეკი; 72. დია; 73. დოლი; 74. ლილუ; 75. ოე; 76. რაე; 77. „იო“; 78. ლასო; 79. არფა; 80. „კონკია“; 81. ანიონი; 82. ლიე; 83. ბალუ.



1. ზღაპრული საზარელი ცხოველი
2. ვრცელი უშენი მინდორი
3. ჯარის რჩეული ნაწილი
4. გეომეტრიული ფიგურა
5. ნაღვლიანი ლექსი
6. წმენდილი ნატეხი შაქარი
7. სახეცვალება, გარდაქმნა
8. მდინარე ციმბირში
9. სამხედრო შარვლის ფორმა
10. ფართო, მრავალმხრივი ცოდნა
11. მცირეწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა
12. სინათლის კვანტი
13. ჟოფრეის როლის შემსრულებელი მსახიობი
14. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
15. ყოფილი ფრანგი შავკანიანი ფეხბურთელი
16. კოვბოის ქამანდი
17. ცისარტყელას ქალღმერთი
18. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
19. ამერიკელი მსახიობი ჯონი ...
20. გაზაფხულის ყვავილი
21. მოხეტიალე მეფოკუსე ინდოეთში
22. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
23. ტბა კანადაში
24. გათლილი ძელი საძირკ.
25. ფეხბ.საერ. ფედერაცია
26. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
27. ოსკარი 2015-ის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი
28. მდინარე რიონის ძველბერძნ. სახელწოდება
29. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
30. ფასიანი ქაღალდი
31. თბილისის ერთ-ერთი უბანი
32. ნიუტონის მეცნიერება
33. რამინის მიჯნური
34. მოედნის სახელწოდება იტალიაში
35. ჰერაკლეს დედა
36. „ყველაფრის მკურნალი"
37. საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი
38. რუსების საბრძოლო ყიჟინა
39. მდინარე მიანმარში
40. „კარმენის" კომპოზიტორი
41. რელიგიური მოძღვრება: მწვალებლობა
42. ძველი ბრაზილიელი ფეხბურთელი
43. აზოტისა და წყალბადის ნაერთი
44. მაუგლის მეგობარი პითონი
45. მამაკაცის სასიმღერო ხმა
46. რამდენიმე მუს. ბგერის ჰარმონიული შეერთება
47. იესო ქრისტეს ნათლია
48. ათენას მიერ ობობად ქცეული გოგონა
49. ორსული საქონელი
50. კედლის ჭალი
51. დამსახურების აღსანიშნავად გაცემ. საბუთი
52. თავის ტანთან შემაერთებელი სხეულის ნაწილი
53. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
54. ჭაობის მცენარე
55. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
56. ჰოკეის სათამაშო დისკი
57. ციმბირის დამპყრობი კაზაკი
58. მნიშვნელ. აზრი
59. იგივეა, რაც შუშა
60. აშშ-ის შტატი
61. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი
62. თურქული მარგარინის მარკა
63. საშინელი ამბავი, უბედური შემთხვევა
64. „შერეკილების" რეჟისორი
65. ძველი რომის იმპერატორი
66. ძვ. ფრან. სიგრძის ერთ.
67. ოქროს მთლიანი ნაჭერი
68. სასწორის თეფში
69. წარმოებისა და ვაჭრობის ხანმოკლე ზრდა
70. დაქირავებ. ჯარისკაცი იაპონიაში
71. ... მაკარტნი
72. ინგლის. ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი
73. ინდიელთა ტომი
74. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
75. ინდიელი ხალხის ჯგუფი
76. სამაგიდო თამაში
77. ლუდის ბარი ინგლისში
78. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
79. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
80. წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი
81. მამაკაცის არაბული სახელი
82. ერთაოზის მამა „შერეკილებში"
83. ჰომეროსის პოემა
84. იგივეა, რაც ერი
85. თხელი საფლობი ტალახი
86. „მანჩესტერ იუნაიტედის" სტადიონი „...-ტრაფორდი"
87. უდიდესი დაძაბულობის მომენტი



# რძე ვეგეტარიანელებისთვის

დიდი ხანია ცნობილია რძის პროდუქციის სხვადასხვა შემცვლელები, ცოტა ხნის წინ კი სწავლულებმა ხელოვნური რძის კიდევ ერთი ვარიანტი წარმოადგინეს — წინამორბედებისგან მთავარი განსხვავება ისაა, რომ მისი წარმოებისთვის ძროხა საერთოდ არ არის საჭირო. ამ ინოვაციურ პროდუქტში შენარჩუნებულია სასარგებლო ცილები, ცხიმები, ვიტამინები და მინერალები, თუმცა არ არის ლაქტოზა. სიახლის ავტორები ირწმუნებიან, რომ ხელოვნურ რძეს ისეთივე გემო აქვს, როგორც ნატურალურს და ეს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია სოიოსა თუ სხვა ანალოგებისგან. რძეს Muufri უწოდეს, რაც „ძროხისგან თავისუფალს" ნიშნავს. პროდუქტი საფუარისა და ბოსტნეულისგან მზადდება, კალციუმი, კალიუმი და შაქარი ცალკე ემატება. როგორც ვარაუდობენ, ახალი ხელოვნური რძის მასობრივი წარმოება 2017 წლისთვის დაიწყება.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.